ბიბლიოთეკა

**განსჯა:** „დიდი აბრეშუმის გზა“ და ოქროს საწმისის დაბრუნება *გვ. 2.* **დოკუმენტი:** ცსკ ინფორმაცია *გვ. 3-4.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №229 (3270) ხუთშაბათი, 26 აგვისტო, 1999 წელი. ფასი შეთანხმებით.

**დღის აქცენტი**

## ფარვატერში ყოფნის მსურველთა საყურადღებოდ

**მთავრობის გუშინდელ სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტის არჩევნებისათვის მზადების საკითხთან დაკავშირებით განაცხადა:**

– წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ბევრი პარტია თუ ცალკეული პრეტენდენტი დეპუტატობის კანდიდატობისა ჩამოყალიბდნენ – ვინ სად უნდა იყაროს კენჭი და ვის რა პრეტენზია გააჩნია აქედან გამომდინარე.

ზოგიერთ რაიონში ჩემი ნებართვისა და სანქციის გარეშე ზოგიერთი წარმომადგენელი აკეთებს განცხადებას, რომ დეპუტატობის ესა თუ ის კანდიდატი სარგებლობს პრეზიდენტის მხარდაჭერით, და ამომრჩევლებს სთხოვენ მხარი დაუჭირონ მათ.

მინდა განვაცხადო, რომ დეპუტატობის არც ერთი კანდიდატის მიმართ ჩემი დამოკიდებულება არანაირად არ გამომიხატავს. ამას გავაკეთებ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოქალაქეთა კავშირი დაამთავრებს სიების შედგენას, როდესაც გადაწყდება თუ სად, რომელ რაიონში იყრიან კენჭს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლები, როგორც მაჟორიტარები.

მე პარტიის თავმჯდომარე ვარ და არ მაქვს უფლება არ ვთქვა ამის შესახებ.

ნურავინ ისარგებლებს ჩემთან პირადი ურთიერთობით, ეს ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება, მაგრამ ასეთ პოლიტიკურ სპეკულაციას ბოლო უნდა მოეღოს.

ყველამ იცოდეს: გამოქვეყნდება საქართველოს მოქალაქეთა კავშირიდან დეპუტატობის კანდიდატთა სია და იგი იქნება პრეზიდენტის მიერ მოწონებული და მხარდაჭერილი.

**აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს**

## „ვაზის გადარჩენა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა. ვაზი უნდა გადარჩეს!“

26 აგვისტოდან ლტოლვილებისათვის დახმარების გაცემის საქმეში არსებული ბოლო ორი თვის დავალიანების დაფარვა დაიწყება საქართველოს იმ რეგიონებშიც, სადაც მათი გაცემა დაგვიანდა. ეს განაცხადა ლტოლვილების საქმეთა და განსახლების მინისტრმა ვალერი ვაშაკიძემ 25 აგვისტოს მთავრობის მორიგი სხდომის დაწყებამდე, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა. მან აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტროს, სხვა უწყებებისა და სამსახურების ხელმძღვანელებმა, რომლებსაც წინა სხდომაზე სახელმწიფოს მეთაურმა დაავალა, რადგაც უნდა დასჯდომოდათ გადაეჭრათ ეს საკითხი, შეძლეს გამოეძებნათ რეზერვები. მინისტრმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს, ყველას, ვინც გულთან ახლოს მიიტანა ეს პრობლემა და, დიდი სირთულეების მიუხედავად, ყველა ღონე იხმარა, რათა ლტოლვილებისათვის მიცემული დაპირება შესრულებულიყო.

* * *

სხდომის დღის წესრიგის პირველი პუნქტი იყო საკითხი საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ. ამ საკითხზე პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი წარმოადგინა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში რუსუდან ბერიძემ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ პრეზიდენტის ბრძანებულების წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ღონისძიებათა ფართო სპექტრს, კანონმდებლობის გენდერულ ანალიზს, საკანონმდებლო წესით ქალთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისკრიმინაციის აღმოფხვრას. დოკუმენტი გულისხმობს ქალთა წინააღმდეგ მიმართულ ძალადობასთან ბრძოლის სამწლიანი პროგრამის შექმნას, ძალადობის ყოველი ფაქტის აღრიცხვას და მათი აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე ქალთა შრომითი მოწყობისათვის ჯანმრთელობის საჭირო სტანდარტების ანალიზს, ლტოლვილი და იძულებით ადგილნაცვალი ქალებისადმი დახმარების სპეციალური პროგრამის შემუშავებას და ა. შ. ქვეყნის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებული პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი მთავრობამ მოიწონა.

* * *

ყურძნის მოსავლის უდანაკარგოდ აღების მიზნით „რთველი-99“-ისათვის სახელმწიფო 4 მილიონ ლარს გამოყოფს. რესურსის წყაროა ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიღებული ჰუმანიტარული ხორბლის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა. 25 აგვისტოს გამართულმა საქართველოს მთავრობის სხდომამ გადაწყვიტა, ეს თანხა ჩაირიცხოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციის ანგარიშზე და მიმართულ იქნეს პროგრამა „რთველი-99“-ის სეზონზე ყურძნის შესყიდვა-გადამუშავებისათვის. კორპორაციიდან ყურძნის გადამამუშავებელ საწარმოებზე თანხები ტენდერის საფუძველზე გადაირიცხება.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის აზრით, ეს არ არის მასშტაბური დახმარება, მაგრამ არის იმის მაქსიმუმი, რისი შესაძლებლობაც დღეს აქვს სახელმწიფოს. „მართალია, ეს თანხა, რომელიც, იმავდროულად, საბიუჯეტო რეზერვიც არის, მოაკლდება ხელფასებს, პენსიებს, სოციალურ პროგრამებს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ მომავალზეც. ვაზის გადარჩენა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა. ვაზი უნდა გადარჩეს!“, განაცხადა მან მთავრობის სხდომაზე.

ედუარდ შევარდნაძეს მიაჩნია, რომ ეს დახმარება მცირეოდენ სტიმულს მაინც მისცემს მევენახეებსა და მეღვინეებს. ამავე დროს, უმკაცრესი კონტროლია საჭირო იმისათვის, რომ არ მოხდეს მისი არამიზნობრივი ხარჯვა.

იხ. მე-2 გვ.

**დაჯილდოება**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 22 აგვისტო ქ. თბილისი

**ა. იმხნელიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ბათუმის ინსტიტუტის დირექტორი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი **არჩილ იმხნელიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 22 აგვისტო ქ. თბილისი

**ბ. მოშიტაიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართული მულტიპლიკაციური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის კინოსტუდია „ორბის“ დირექტორი, საერთაშორისო კინოფესტივალების პრიზიორი, რეჟისორი **ბონდო მოშიტაიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

**ედუარდ შევარდნაძე: „დეპუტატობის არც ერთი კანდიდატის მიმართ ჩემი დამოკიდებულება არანაირად არ გამომიხატავს.“**

**პრეზიდენტი**

## ყულევში ახალი ტერმინალი აშენდება



საქართველოში შავი ზღვის სანაპიროზე ახალი ტერმინალი აიგება. ტერმინალის პროექტი შუა აზიის ნავთობპროდუქტების ევროპის ქვეყნებში გადაზიდვას ითვალისწინებს. თურქმენეთიდან წამოსული ნავთობი კასპიის ზღვის გაღმით აზერბაიჯანის, შემდგომ კი საქართველოს ტერიტორიებს გადაკვეთს და შავი ზღვით ევროპის ქვეყნებში გავა. ამ ახალი პროექტის განხორციელების მიზნით დაარსდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტერმინალი-2000“, რომლის დამფუძნებლები არიან საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტი და კომპანია „არგომარ ოილი“.

**ინფორმაციისათვის:** კომპანია „არგომარ ოილს“ ოფისები ავსტრიაში, კვიპროსსა და რუსეთში აქვს. მათი ძირითადი საქმიანობა ნავთობპროდუქტების გადაზიდვა და რეალიზაცია, ასევე, თევზის რეწვა, გადამუშავება და რეალიზაციაა.

25 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს „ტერმინალი-2000“-ის დამფუძნებლები ეწვივნენ და თავიანთი გეგმები გააცნეს.

ვინაიდან თხევადი ტვირთების გადაზიდვაში საქართველოს ნავსადგურების შესაძლებლობები შეზღუდულია, ამიტომ იდეის ავტორებმა ახალი ტერმინალის აგება გადაწყვიტეს. შეირჩა ადგილიც – ხობის რაიონის სოფელი ყულევი, სადაც მდინარე ხობისწყალი ზღვას უერთდება. „ტერმინალი-2000“-მა აუქციონის წესით 150 ჰექტარი მიწის ნაკვეთი შეისყიდა. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ძირითადად, თურქმენეთის

იხ. მე-2 გვ.

**არჩევნების წინ**

## ბიზნესმენები – კურსი პარლამენტისკენ?

**ბიზნესმენების საკმაოდ სოლიდური ნაწილი 31 ოქტომბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს.**

პრაიმ-ნიუსის მიერ ჩატარებული მოკვლევით ჯერჯერობით პარლამენტარობის მსურველ ბიზნესმენთა რაოდენობა ოცს აღწევს.

საკმაოდ საინტერესოა მმართველი პარტიის, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის არჩევანი. გენერალური მდივნის მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, ისინი ერთიანი ბლოკის სიაში ბიზნესმენებისთვის განკუთვნილ კვოტას მხოლოდ ახალგაზრდა ბიზნესმენებით შეავსებენ.

ჯერჯერობით დანამდვილებით მხოლოდ ორი ბიზნესმენის სახელია ცნობილი:

ქართული ღვინის მწარმოებელი ფირმა „GWS“ პრეზიდენტი ლევან გაჩეჩილაძე და

იხ. მე-2 გვ.

**ინფორმაცია**

### ახალი სასწავლო წელი საქართველოში 1 სექტემბერს დაიწყება

ახალი სასწავლო წელი საქართველოში 1 სექტემბერს დაიწყება, – განაცხადა განათლების მინისტრმა ალექსანდრე კარტოზიამ ოთხშაბათს, საქართველოს ეროვნული ტელევიზიის პირველი არხის პირდაპირ ეთერში.

პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, სწავლის გადატანის ინიციატივით მთავრობის სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი გამოვიდა მაღალი ტემპერატურისა და მასთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემების მოტივით.

პრეზიდენტმა შევარდნაძემ ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების სასწრაფოდ მიღება სთხოვა განათლების მინისტრს.

თავისი გადაწყვეტილება ალექსანდრე კარტოზიამ იმით ახსნა, რომ სასწავლო წლის გადატანა სასწავლო გეგმებში არეულობას შეიტანდა და არდადეგების იძულებით შეკვეცას გამოიწვევდა.

გარდა ამისა, როგორც კარტოზიამ აღნიშნა, 1 სექტემბერი სწავლის დაწყების სიმბოლოა და არ ღირს ამ ტრადიციის მოშლა.

### ახალი გამგებელი მუშაობას შეუდგა

გუშინ პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა კახეთის მხარეში გია არსენიშვილმა სიღნაღის რაიონის გამგეობას წარუდგინა ახალი გამგებელი მალხაზ ბეგიაშვილი.

### მოგება – 4.5 მილიონ დოლარზე მეტი

აპრილში სუფსის ტერმინალის გახსნიდან უკვე მე-19 ტანკერი დაიტვირთა კასპიის ადრეული ნავთობით სუფსაში.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს საერთაშორისო სანავთობო კორპორაციის ტექნიკურმა დირექტორმა ირაკლი კელბაკიანმა აცნობა, ტანკერი 135 ათასი ტონა ნავთობი უკვე იტალიაში გაემგზავრა.

წლის ბოლომდე სუფსიდან დასავლეთში 25 მილიონი ბარელი ადრეული ნავთობის გადაზიდვას ვარაუდობენ, საქართველოს მოგება 4.5 მილიონ დოლარს გადააჭარბებს.

### ტონი როდემი თეკლათელ ფერმერებს შეხვდა

ტონი როდემი ავადმყოფობის მიუხედავად მაინც ჩავიდა სამეგრელოში. „არგო ჰოლდინგის“ თანათავმჯდომარესთან ვასილ პატარქალიშვილთან ერთად იგი თეკლათის ფერმერებს შეხვდა, მათ, ვინც ამ ფირმის დახმარებით 10 წლის განმავლობაში უმოქმედოდ მყოფი მიწის დამუშავება დაიწყეს.

„არგო ჰოლდინგს“ თეკლათში 300 ჰექტარი ფართობი უჭირავს, აქედან 120 ჰექტარი უკვე დამუშავებულია. ფირმამ ეს მიწები იჯარით ოროდე თვის წინათ აიღო. „მე მჯერა ვასილ პატარქალიშვილის, ჩვენ ერთმანეთთან დიდი ხნის ნდობა და მეგობრობა გვაკავშირებს, ჩვენს მიერ დაწყებული საქმის მნიშვნელოვან, წარმატებულ შედეგებს თქვენ მალე იხილავთ“, უთხრა თეკლათელებს ტონი როდემმა.

### ქართველი მაშველები თურქეთში

კიდევ ერთი მიწისძვრა მოხდა თურქეთში 24-25 აგვისტოს ღამით, – აცნობა პრაიმ-ნიუსს საგანგებო სიტუაციების და შსს სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსმა ირაკლი კოდუამ.

ქართველ მაშველთა ინფორმაციით, რომლებიც თურქულ სოფელ ბაგჩიგდუგში მუშაობენ, მიწისძვრამ ამ დასახლებულ პუნქტში რიხტერის შკალით დაახლოებით 5 ბალს მიაღწია.

დღეისთვის ქართველმა მაშველებმა ნანგრევებიდან 21 გარდაცვლილი ადამიანი ამოიყვანეს.

### ახალი კომბინატი

ხელვაჩაურის რაიონში საექსპლუატაციოდ გადასცეს ახალი საფქვავი კომბინატი. მარცვლეულის გადასამუშავებელ და ხორბლის ფქვილის გამოსაშვებ მოწყობილობას შეუძლია საათში აწარმოოს ერთი ტონა ფქვილი. საჭიროების შემთხვევაში სიმძლავრე 7-8 ტონამდე შეიძლება გაიზარდოს.

კომბინატმა უკვე გამოუშვა მაღალი ხარისხის პირველი პროდუქცია.

### დესტაბილიზაციაზე არც ფიქრობენ

ჯიხაშკარის მოვლენების შემდეგ ხელისუფლებას შერიგებული 12 პირიდან რამდენიმე კვლავ ტყეში იმყოფება დასავლეთ საქართველოში და, მიუხედავად იმისა, რომ იარაღი ჩააბარეს, სიტუაციის საბოლოოდ გარკვევამდე ოჯახებში დაბრუნებას არ აპირებენ.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა ერთ-ერთმა შემორიგებულმა, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამხელა, ტყეში მყოფთ კავშირი აქვთ სენაკის ამბოხების მეთაურთან აკაკი ელიავასთან და ელოდებიან მის შეხვედრას საპარლამენტო ჯგუფთან. ტყეში დარჩენილები არ აპირებენ დესტაბილიზაციის გამოწვევას და არც რაიმე ულტიმატუმის წამოყენებას.

ამავე დროს, იგი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებასა და შემორიგებულებს შორის ნდობა ბოლომდე არ არის აღდგენილი, „მით უმეტეს მას შემდეგ, რაც სამართალდამცავებმა მათი ჯგუფის წევრი სოსო ლაგვილავა დააკავეს“.

### გალში შემოიღეს საგანგებო წესები

აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის ცნობით აფხაზურმა ადმინისტრაციამ ქალაქ გალში საღამოს 9 საათიდან შემოიღო საგანგებო წესები, რომლის დარღვევის შემთხვევაში დაწესებულია ჯარიმა ორასი ათასი რუსული რუბლის ოდენობით.

### შეხვედრა ოზურგეთში

დემოკრატიული აღორძინების კავშირის მიერ ოზურგეთში დეპუტატობის კანდიდატად წარდგენილმა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორმა ზვიად ცეცხლაძემ წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო.

ოზურგეთის თეატრში გასულ შაბათს ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ცეცხლაძის მხარდასაჭერად მივიდნენ საქართველოს დემოკრატიისა და აღორძინების ფონდის პრეზიდენტი ნუგზარ ფოფხაძე და საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე თამაზ წივწივაძე.

ბათუმური ალიანსის არც ერთ წარმომადგენელს შაბათს ოზურგეთელი ამომრჩევლის წინაშე გამოსვლისას მმართველი პარტიისა და ცენტრალური ხელისუფლების მიმართ კრიტიკული შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა, საქინფორმმა, ჩვენმა კორესპონდენტებმა.**

**დედაქალაქი**

## „ლოკომოტივის“ ფერისცვალება



არიან ადამიანები, რომლებიც შეჭირვების ჟამსაც არ ტოვებენ სპორტს უყურადღებოდ. ასეთი პიროვნება გახლავთ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძე. მოგეხსენებათ, მე-10 ეროვნულ ჩემპიონატში საფეხბურთო კლუბმა „ლოკომოტივმა“ მე-3 ადგილი დაიკავა და ევროტურნირებში მონაწილეობის უფლება მიიღო. სწორედ ამან მისცა ბიძგი რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, განეხორციელებინა დიდი ხნის ჩანაფიქრი – დაეწყო „ლოკომოტივის“ სტადიონის რეკონსტრუქცია, სტადიონისა, რომელსაც თავის არენაზე 1957 წლის 17 სექტემბრიდან დღემდე არაერთხელ უმასპინძლია მნიშვნელოვანი სპორტული ბატალიებისთვის.

ამჟამად „ლოკომოტივის“ სტადიონი მშენებლობის პოლიგონად არის ქცეული: გუგუნებენ ბულდოზერები და ექსკავატორები, მიმოდიან ქვა-ღორღითა და მიწით სავსე თვითმცლელები...

იხ. მე-9 გვ.

**უკანასკნელ საათს**

ერთობლივი დეკლარაციის მიღებით დამთავრდა გუშინ „შანხაის ხუთეულის“ – რუსეთის, ჩინეთის, ყირგიზეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის პრეზიდენტების შეხვედრა. დოკუმენტში ხაზგასმულია სეპარატიზმის, საერთაშორისო ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა.

გუშინ დამთავრდა რუსეთის ფედერალური ძალების ოპერაცია დაღესტნის ბოტლიხის რაიონის ბოევიკებისგან გასათავისუფლებლად. 18 დღის მანძილზე 1000-ზე მეტი ბოევიკია მოკლული. ამჟამად მიმდინარეობს დაღესტნის ტერიტორიის გაწმენდა ბოევიკების რაზმების ნარჩენებისგან.

**ქართველი მინისტრის სტუმრობა „კარგ საფუძველს შეუქმნის ჩინეთისა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის მეგობრული თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას“.**

**კონტაქტები**

## აიდან უაიტი გვპირდება

აფხაზეთში არსებულ ვითარებაზე მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების თხოვნით მიმართა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის გენერალურ მდივანს აიდან უაიტს ოთხშაბათს თბილისში გამართულ შეხვედრაზე.

ნადარეიშვილის თქმით, აფხაზეთში მომხდარი მოვლენები რუსეთის აგრესია იყო და არა ქართულ-აფხაზური დაპირისპირება და აფხაზეთი დღესაც საქართველოზე ზეწოლის ბერკეტად გამოიყენება.

აიდან უაიტმა განაცხადა, რომ, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია ყველაფერს გააკეთებს აფხაზეთის შესახებ ობიექტური ინფორმაციების გასავრცელებლად.

პრაიმ-ნიუსი.

## დავით თევზაძე – ჩინეთში

**პეკინი, 25 აგვისტო (იტარ-ტასი – საქინფორმი).** ჩინეთ-საქართველოს სამხედრო კავშირურთიერთობათა განვითარებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა უწოდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის ვიზიტს მისმა ჩინელმა კოლეგამ ჩი ჰაოტიანმა. მინისტრმა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართველი მინისტრის სტუმრობა „კარგ საფუძველს შეუქმნის ჩინეთისა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის მეგობრული თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას“.

ახალ პირობებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დამოუკიდებელ სამშვიდობო პოლიტიკას ახორციელებს და მზად არის მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ერთად ხელი შეუწყოს მშვიდობიანი, სტაბილური და აყვავებული მსოფლიოს წინსვლას ახალ საუკუნეში, აღნიშნა ჩინელმა მინისტრმა.

დავით თევზაძემ, თავის მხრივ, ხაზი გაუსვა იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ჩინეთს შორის სამხედრო კავშირურთიერთობათა განვითარებას.

## განცხადება

1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად განსაზღვრულია დაბა კოჯორში მემორიალური ძეგლის აგება. ამ საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობის მსურველებს გაცნობებთ საქველმოქმედო ფონდის „1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ მეომართა მემორიალის“ საბანკო რეკვიზიტებს:

ანგარიშის ნომერი ეროვნულ ვალუტაში: 013700278,

გაერთიანებული ქართული ბანკის მთაწმინდის ფილიალი, კოდი 220101666

საქველმოქმედო ფონდის ადმინისტრაცია.

**ფინანსები**

## ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 26 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| გერმანული მარკა | 1 | 0.9845 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8310 | ლარი |
| ევრო | 1 | 1.9255 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0739 | ლარი |

**დღეს**

**ამინდი**

**დასავლეთ საქართველოში**

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. სუსტი ქარი.

დაბლობში: ღამით +18+23; დღისით +32+36.

მთაში: ღამით +15+20; დღისით +25+30.

მაღალ მთაში: ღამით +10+15; დღისით +20+25.

**აღმოსავლეთ საქართველოში**

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. სუსტი ქარი.

დაბლობში: ღამით +20+25; დღისით +35+38.

მთაში: ღამით +16+21; დღისით +25+30.

მაღალ მთაში: ღამით +10+15; დღისით +20+25.

**თბილისში**

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. სუსტი ქარი.

ღამით +23+2., დღისით +35+37.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

პრეზიდენტი

# ყულევში ახალი ტერმინალი აშენდება

(პირველი გვერდიდან)

ნავთობის ექსპორტზე იმუშავებს. დამფუძნებლების ვარაუდით, ყულევის ტერმინალის ტვირთბრუნვა წელიწადში 5-6 მილიონი ტონა იქნება. პირველი რიგის მშენებლობა 70 ჰექტარზეა ნავარაუდევი და მისთვის 70 მილიონი ამერიკული დოლარის გამოყოფაა გათვალისწინებული. ინვესტიციას ევროპის გაერთიანებული ბანკი განახორციელებს.

პროექტის ავტორებს ტერმინალის სატრანსპორტო უზრუნველყოფაც გათვალილი აქვთ: ტვირთებს აზერბაიჯანის რკინიგზით, შემდგომში კი — საქართველოს რკინიგზით გადაზიდავენ სენაკი — ხობის მონაკვეთზე რიონის ხიდამდე. შემდეგ კი, ტვირთი ტერმინალამდე გაივლის ახალ 10-კილომეტრიან რკინიგზას, რომლის აშენებასაც რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძე ერთ წელიწადში ვარაუდობს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წარმომადგენლები ტერმინალის წელიწადნახევარში ამოქმედებას გეგმავენ

საქართველოს პრეზიდენტმა მოიწონა ყულევის ტერმინალის აგების გეგმა და დაინტერესდა მშენებლობაში სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობის დასაქმებისა და მათი სოციალური პირობების უზრუნველყოფის პერსპექტივით.

პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელია ყულევში თევზსაჭერი ფლოტის შექმნაც.

# მიზანი: ჟურნალისტური სოლიდარობა

ჟურნალისტთა უსაფრთხოების გარანტიების შექმნა, მათი მუშაობის პირობების გაუმჯობესება, ჟურნალისტთა სოლიდარობის განმტკიცება და ა. შ. — ასეთია მთავარი ამოცანა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციისა, რომელიც თავის რიგებში ასზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლებს აერთიანებს.

„ჩვენ ვცდილობთ მაქსიმალურად შევკრათ ჟურნალისტთა კორპუსი იმ რეგიონებშიც კი, სადაც ეს ძალიან ძნელია“, განაცხადა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა აიდან უაიტმა საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან 25 აგვისტოს გამართულ შეხვედრაზე.



თბილისში აიდან უაიტის ვიზიტის მიზანი, გარკვეული თვალსაზრისით, სწორედ ამ ამოცანის შესრულებაც არის. რეგიონული კონფერენცია „მასმედია და კონფლიქტები“, რომელსაც ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია ერთობლივად აწყობენ, კონფლიქტურ ზონებში ჟურნალისტთა უსაფრთხოებისა თუ კონფლიქტების მოწესრიგებაში მათი მონაწილეობის საკითხებზე ერთად სამსჯელოდ იწვევს „ცხელ წერტილად“ ქცეული კავკასიის რეგიონის ყველა სახელმწიფოსა თუ რესპუბლიკის ჟურნალისტებს. „მადლობელი ვართ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციისა. ჩვენ ერთად ვმუშაობთ იმ პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რომლებიც მთელ კავკასიის რეგიონში ჟურნალისტთა სოლიდარობამდე მიგვიყვანს“, განაცხადა სტუმარმა.

შეხვედრაზე ისაუბრეს დემოკრატიული საზოგადოების ფორმირების პროცესში თავისუფალი პრესის როლსა და მნიშვნელობაზე.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.**

გვირეკავენ, გვეკითხებიან

**ომის პირველი ჯგუფის ინვალიდებს ეძლეოდათ წელიწადში ერთხელ თვითმფრინავით უფასო მგზავრობის უფლება. მაინტერესებს, არის თუ არა კვლავ ძალაში აღნიშნული ბრძანებულება?**

**დავით ქართველიშვილი, თბილისი.**

ჩვენ დავუკავშირდით ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზების“ ადმინისტრაციას. „ამის თაობაზე ოფიციალური დადგენილება არ არსებობს. მოგეხსენებათ დღეს ყველა ავიაკომპანია კომერციულია. მგზავრობის მსურველი ინვალიდი წერს განცხადებას ავიაკომპანიის გენერალური დირექტორის სახელზე და თუკი დირექტორი უფასო მგზავრობის განკარგულებას გასცემს, მაშინ ინვალიდს მგზავრობა უფასოდ გარანტიებული აქვს“.

**ჩაწერილი ვარ სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში დეიდასთან, რომელსაც ვმეურვეობდი და მემკვიდრეობა მიანდერძა. იმ დროისათვის მიწა საკუთრებაში არ იყო. დეიდის კუთვნილი მიწები მისმა მეზობელმა მიისაკუთრა. შემიძლია თუ არა კუთვნილი მიწების დაბრუნება?**

**ნაზი ჩარიგაია, სენაკი.**

სახელმწიფო მიწის მართვის დეპარტამენტის ცნობით, კუთვნილ მიწებს სასამართლოს ძალით თუ დაიბრუნებთ, უნდა მიმართოთ სამეგრელოს მიწის მართვის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ვინც ჩაწერილია რაიონში, და თუ სოფელში არის მიწის რეზერვი, ეკუთვნის მიწის ფართობი 2.500 კვ. მ-ის ოდენობით.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

# „ვაზის გადარჩენა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა. ვაზი უნდა გადარჩეს!“

(პირველი გვერდიდან)

„ჩვენ ვიღებთ ძალზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და ბიძგს ვაძლევთ არა მარტო მევენახეობა-მეღვინეობის, არამედ სხვა კულტურების განვითარებასაც“, — განაცხადა მან და აღნიშნა, რომ, ამავე დროს, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ბაზრების მოძიებას. ამ საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ საელჩოებს, რომელთაც სახელმწიფოს მეთაური სთხოვს ყურადღება მიაქციონ სხვა ქვეყნებში ქართული სასაქონლო ნიშნით ფალსიფიცირებული პროდუქციის გამოჩენის ფაქტებსაც.

„ფული, რომელსაც ჩვენ ყურძნის მოსავლის უდანაკარგოდ აღება-გადამუშავებისათვის გამოვყოფთ, ჩვენი ხალხის ფულია და ის დაკარგული არ არის. ეს ფული აუნაზღაურდება ყველას, მათ შორის, სახელმწიფოს“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

* * *

საქართველოს პრეზიდენტი არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს საქართველოს სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის შედეგად შემოსავლების მიღების პროცესს. 25 აგვისტოს გამართულ მთავრობის სხდომაზე მან უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ნაწილობრივაც კი არ არის ამოქმედებული ის რეზერვი, რომელიც სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობის შედეგად შეიქმნა. „იმ სააქციო საზოგადოებებიდან, რომლებშიც სახელმწიფოს განსაზღვრული წილი აქვს, ბიუჯეტში მხოლოდ 300 ათასი ლარი შემოვიდა მაშინ, როდესაც მათმა მოგებამ 30 მილიონი ლარი შეადგინა“, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

ამავე დროს, პრეზიდენტი შეეხო სატენდერო პრაქტიკასაც და აღნიშნა, რომ, საკმაოდ დიდი გამოცდილების მიუხედავად, საქართველოში ეს პრაქტიკა მაინც დასახვეწია. ამის დადასტურებაა „ჭიათურმანგანუმთან“ დაკავშირებით გამოცხადებული რამდენიმე ტენდერი, რომელთა შედეგები მეტყველებს, რომ შესაბამისი სამინისტროები ჯეროვნად არ სწავლობენ ტენდერში მონაწილე კომპანიების რეალურ შესაძლებლობებს. „საჭიროა კვალიფიციური და კონკრეტული მიდგომის ჩამოყალიბება, მით უმეტეს, რომ წინ გვაქვს ისეთი სტრატეგიული დარგების პრივატიზაცია, როგორებიც არის კავშირგაბმულობა და ენერგეტიკა“, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ და მხარი დაუჭირა მოსაზრებას „თბილგაზისა“ და „თბილსრესის“ პრივატიზაციის დაჩქარების შესახებ.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.**

არჩევნების წინ

# ბიზნესმენები — კურსი პარლამენტისკენ?

(პირველი გვერდიდან)

სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ პრეზიდენტი, თბილისის საკრებულოს ფრაქცია „თბილისელის“ წევრი დავით გამყრელიძე.

სარწმუნო წყაროს ცნობით, ამ უკანასკნელის გაპარლამენტარებას თბილისის საკრებულოს მოქალაქეთა კავშირის ფრთა უკმაყოფილოდ შეხვდება.

მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, ჯერჯერობით სმკ სიაში ბიზნესმენთა კვოტა განსაზღვრული არ არის. თავად ბიზნესმენებთან მოლაპარაკებას გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარე, სმკ თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნიკო ლეკიშვილი აწარმოებს.

პოლიტიკური მოძრაობის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ საარჩევნო სიის უმრავლესობა მეწარმეებითა და მრეწველებით იქნა დაკომპლექტებული.

როგორც პრაიმ-ნიუსს მოძრაობის ლიდერმა გოგი თოფაძემ განუცხადა, საარჩევნო სიის ფორმირება დასრულებული არ არის. თუმცა წინასწარ შესაძლებელია გაცხადდეს, რომ მათ საარჩევნო სიაში დანამდვილებით იქნებიან: ღვინის მწარმოებელი ფირმა „სამების“ პრეზიდენტი ზურაბ ტყემალაძე, სააქციო საზოგადოება „პური არსობისას“ გენერალური დირექტორი ვიტალი კვინიხიძე, „თბილხელსაწყოს“ გენერალური დირექტორი თამაზ ბეჟანიშვილი და, რაღა თქმა უნდა, შპს „ყაზბეგი-კასტელის“ პრეზიდენტი გოგი თოფაძე.

აქვე აღსანიშნავია, რომ „ანგლო ოილ ჯორჯიას“ პრეზიდენტი ლევან პირველი, გავრცელებული ინფორმაციით, მესტიის რაიონში დამოუკიდებელ კანდიდატობას აპირებს.

პრაიმ-ნიუსის ინფორმაციით, მას გოგი თოფაძემ მხარდაჭერაზე უარი განუცხადა. თავად თოფაძემ პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში აღნიშნული ფაქტი უარყო და თქვა, რომ ლევან პირველი მისი მეგობარია და თუ იგი მრეწველებს მიმართავს, მასთან მოლაპარაკებას სიამოვნებით გამართავს.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ირინა სარიშვილი-ჭანტურიას განცხადებით, „ეროვნული დემოკრატიული ალიანსი — „მესამე გზა“ თავს შეიკავებს წარმატებული ბიზნესმენებისგან, რადგან მათი ადგილი ბიზნესშია და არა პარლამენტში. ალიანსის საარჩევნო სიაში შესაძლოა მეწარმეები, ან ის ხალხი შეიყვანონ, ვინც მეწარმეობის პრობლემებს კარგად იცნობს, ისინი აუცილებლად მრეწველთა კავშირიდან იქნებიან და მათთან მოლაპარაკებას ყოფილი პარლამენტარი, ედპ წევრი ბესო ჯუღელი აწარმოებს.

ლეიბორისტული (შრომის) პარტია თავს იკავებს, საარჩევნო სია ბიზნესმენთა სახელებით გაამდიდროს.

როგორც პრაიმ-ნიუსს შალვა ნათელაშვილმა განუცხადა, ლეიბორისტული პარტიის პოლიტალმასკომმა კავშირგაბმულობისა და ფოსტის ექსმინისტრი ფრიდონ ინჯია მარტვილში დამოუკიდებელ კანდიდატად დაამტკიცა არა როგორც ბიზნესმენი, არამედ როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე.

რაც შეეხება ბათუმის ალიანსისმიერ შერჩეულ ბიზნესმენ კანდიდატებს, საარჩევნო ბლოკის „საქართველოს აღორძინების“ საარჩევნო შტაბს ჯერჯერობით მათი ვინაობის დაკონკრეტება და განხილვა არ დაუწყია.

როგორც პრაიმ-ნიუსს სარწმუნო წყარომ განუცხადა, საარჩევნო ბლოკმა შესაძლოა აქცენტი ბიზნესმენებზე არც გააკეთოს. ოზურგეთში მათ მიერ სამშაბათს წარდგენილ დამოუკიდებელ კანდიდატს ზვიად ცეცხლაძეს ბათუმში ბიზნესმენად კი არა, პოლიტიკოსად აღიქვამენ.

**პრაიმ-ნიუსი.**

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

# დაიწყო „ალიონის“ ცხრა მეზადურის სასამართლო პროცესი

**აფხაზეთის სამხედრო სასამართლოში დაიწყო საქართველოს ფოთის სანაოსნოს თევზსაჭერი გემის „ალიონის“ ცხრა მეზადურის სასამართლო პროცესი. იგი აფხაზთა სამხედრო-საზღვაო ძალების სანაპირო სამსახურმა დააკავა მიმდინარე წლის 3 აპრილს აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში. ეს იტარ-ტასის კორესპონდენტს აცნობა რესპუბლიკის სამხედრო სასამართლოს მოსამართლემ ზურაბ აგუმაამ. როგორც მან თქვა, საქართველოს თევზსაჭერი გემის ეკიპაჟის წევრებს წაუყენებენ „სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადალახვისა და უკანონო თევზჭერის“ ბრალდებას.**

**საქინფორმი.**

### ახალი კავშირი ძალიან გრძელი სახელწოდებით

„ერთიანი კომუნისტური პარტია, სტალინელები, მშრომელთა საბჭო და პატრიოტები სამშობლოსათვის“ — ასე ეწოდა სახალხო-პატრიოტული კავშირის მიერ 31 ოქტომბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნებისთვის შექმნილ საარჩევნო ბლოკს, რომელსაც ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე ხელმძღვანელობს.

გადაწყვეტილება ამის შესახებ სახალხო-პატრიოტული კავშირის საბჭომ გუშინ გორში გამართულ სხდომაზე მიიღო.

პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში ერთიანი კომპარტიის თავმჯდომარემ, პანტელეიმონ გიორგაძემ განაცხადა, რომ საარჩევნო ბლოკი არჩევნებში 250 ათასი ამომრჩევლის მხარდაჭერას ვარაუდობს (?!) და 7-პროცენტიან ბარიერს აუცილებლად დაძლევს (?!).

ნეტარ არიან (ამ შემთხვევაში) ურწმუნონი.

### იყიდეთ ავტომობილი!

საქართველოში ამერიკულ-თურქული ფირმა „კვისკო დიპლომატ მოტორზის“ წარმომადგენლობამ თბილისში გუშინ თავისი ფილიალი გახსნა.

„კვისკო დიპლომატ მოტორიზის“ საფირმო ავტოსალონში მსურველებს საავტომობილო კომპანიების — „ჰონდას“, „კიას“ და „ვაზის“ ავტომობილების შეძენა შეუძლიათ.

„ჰონდას“ მარკის ავტომანქანის შეძენა 12-40 ათასი დოლარის, „კიას“ მარკის — 9-15 ათასის, „ვაზის“ მარკის ავტომობილების შეძენა კი 4-7 ათასი დოლარის ფარგლებში შეიძლება.

განსჯა

# „დიდი აბრეშუმის გზა“ და ოქროს საწმისის დაბრუნება

რამდენიმე მოსაზრება ედუარდ შევარდნაძის წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით

საქართველო პატარა ქვეყანაა. ზოგიერთი პოლიტოლოგის განსაზღვრებით, ტერიტორიის სიდიდის, მოსახლეობის რაოდენობის, მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობის და სხვა ფაქტორების მიუხედავად, პატარა ქვეყნებად უნდა ჩაითვალონ სახელმწიფოები, რომლებსაც არა აქვთ საკმარისი პოტენციალი საიმისოდ, რომ დამოუკიდებლად, გარედან ჩაურევლად განახორციელონ თავიანთი პოლიტიკური ნება.

გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ შეგვწევს ძალა დამოუკიდებლად მივიღოთ აქტიური მონაწილეობა დიდი აბრეშუმის გზის აღორძინების, ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შექმნის პროექტის რეალიზაციაში.

წიგნი დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ პრაქტიკულად არ არსებობს არც ერთი დიდი საერთაშორისო ორგანიზაცია და სტრუქტურა, რომ არ მონაწილეობდეს საქართველოს ტერიტორიაზე პროექტის განხორციელებისათვის მუშაობაში.

წიგნის „დიდი აბრეშუმის გზის“ მნიშვნელოვანი ნაწილი — ეს არის დაწერილებითი ნაამბობი იმ დახმარების მესახებ, რომელსაც უკვე გვიწევენ და კვლავაც გაგვიწევენ, როცა პრაქტიკულად შევუდგებით ხმელეთზე, წყალზე და ჰაერში კოლოსალურ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში ჩვენი წილის შექმნას.

ახალი საზღვაო ნავსადგურები, ტერმინალები, საავტომობილო გზები და რკინიგზები, სამაგისტრალო ნავთობსადენები და გაზსადენები, სადისპეტჩერო სისტემები და ტექნიკური მომსახურების პუნქტები, კოსმოსური საკომუნიკაციო სისტემები და ელექტროგადამცემი ხაზები — ყოველივე ამას უნდა მოეძებნოს ადგილი, უნდა განლაგდეს ჩვენს მიწა-წყალზე იმ ინდუსტრიული სტრუქტურის დამატებით, რომელიც აქ მეოცე საუკუნის მანძილზე იქმნებოდა.

ხატოვნად რომ ვთქვათ, საქართველოზე გავა უდიდესი ტევადობის სატრანზიტო სატრანსპორტო „მილი“, რომლითაც ყოველდღიურად, ყოველკვირეულად, ყოველთვიურად, ყოველწლიურად იმოძრავებს მილიონობით ტონა ტვირთი — ნედლეული, საქონელი, ნავთობი, გაზი.

და ეს გახლავთ „მილის“ მხოლოდ ხილული ნაწილი. წიგნში დეტალურად არის ჩამოთვლილი, საქართველოში მუშაობის კიდევ რა სფეროებს იკისრებენ საერთაშორისო ორგანიზაციები — ტვირთზიდვის და სატრანსპორტო სისტემების ექსპლუატაციის, კადრების მომზადების, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ცვლილებების მეტანის, ფინანსური მენეჯმენტის, დაზღვევის, ტურიზმის და სხვა დარგებში.

ახლა შეგნებულად არ ვეხები იმ საკითხს, გაუძლებს თუ არა ქვეყანა, მისი ბუნება, მისი ხალხი ასეთ კოლოსალურ დატვირთვას. წიგნში იკვეთება აზრი, რომ ყველა პროექტი — მათი რიცხვი კი ათეულებით აითვლება — განხორციელდება მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების გათვალისწინებით, რომ მათ შემუშავებაში ჩაებმებიან ეკოსისტემის, ეკონომიკის, დემოგრაფიის პრობლემების, სამართლის ცნობილი ექსპერტები, სოციალური ფსიქოლოგიის, მედიცინის, რეკრეაციული ზონების ორგანიზაციის, კონტრაბანდის, საერთაშორისო დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის, სატრანსპორტო სისტემების უსაფრთხოების და მრავალი სხვა დარგის სპეციალისტები.

საქართველოს არსებობას, ხაზგასმულია წიგნში, არავითარი სერიოზული საფრთხე არ ემუქრება. პირიქით, „მილი“ მას განვითარების ისეთ მატერიალურ, ფინანსურ რესურსებს მისცემს, როგორიც თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არ ჰქონია. ვინდა გვჯეროდეს, რომ ასეც იქნება.

მაგრამ რჩება ერთი, ჩვენი აზრით, მეტად სერიოზული საკითხი, რომელიც დეტალურ განხილვასა და გულმოდგინე მსჯელობას საჭიროებს.

თუკი ზუსტად ვიცით, რას გააკეთებენ ჩვენთან ინგლისელები, ჰოლანდიელები, გერმანელები, ფრანგები, ამერიკელები, დანიელები და სხვები, რაღა დაგვრჩება გასაკეთებელი ჩვენ, ქართველებს?

რა ისტორიული როლი ეკისრებათ ადამიანებს, სამი ათასწლეულია ამ მიწა-წყალზე რომ ცხოვრობენ და სურთ, კვლავაც მისი ბატონ-პატრონები იყვნენ და არა სტუმრები?

რა ადგილი გვეკუთვნის მსოფლიო პროექტის ამ ზუსტად განსაზღვრულ გრაფიკში?

ეხედები, რა აშკარად არაპროფესიულად დავსვი კითხვა, არსებითად, რა უაზრობად შეიძლება გეჩვენოთ ჩემი ნათქვამი. მესმის კიდეც მკაცრი, აღშფოთებული ხმები: რას ნიშნავს, რას გააკეთებს ჩვენი ხალხი? რას გააკეთებს და — „მილზე“ იმუშავებს, ააშენებს მას და მოემსახურება. განა ცხადად არ არის ნათქვამი — ყველა უცხოურ პროექტზე იმუშავებენ ჩვენი კადრები, მათ განხორციელებაში ჩაებმებიან კონკრეტული სამინისტროები და დეპარტამენტები, კომისიები და ქვეკომისიები.

ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი, რომ თვითგამრავლებად ბიუროკრატიულ აპარატს მრავალ წელს ეყოფა აქ სამუშაო, რომელსაც, ამავე დროს, როგორც ჩანს, უხვად აანაზღაურებენ დონორები.

მხედველობაში მყავს ის ორი-სამი მილიონი მოსახლეობა, ბევრი რომ არაფერი სმენია მთელ ამ „საუკუნის პროექტებზე“, დღეს რომ სულ სხვა საზრუნავი აწუხებს, არავითარი წარმოდგენა რომ არა აქვს საბაზრო ეკონომიკის მექანიზმზე. ელაპარაკობ იმ ადამიანებზე, თავისი დრამატული მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე იძულებულნი რომ იყვნენ ესწავლათ, როგორც დიდმა ილიამ ბრძანა, სისხლისღვრა, მაგრამ ვერ ისწავლეს ოფლისღვრა.

არ უნდა გვერცხვენოდეს იმის ხმამაღლა გამეორება, რაც ილიამ ჯერ კიდევ ასი წლის წინათ თქვა. განვლილი ასი წლის განმავლობაში წინ ვერ წავიწიეთ ამ თვალსაზრისით — ვერ ვისწავლეთ ნამდვილი გარჯა, ვერ ვისწავლეთ ოფლისღვრა. არადა, იმ დინამიკურ, სასტიკ, უალტერნატივო სამყაროში, რომელშიც ჩვენ ეს-ესაა ვეზიარებით, ამ უუნარობამ შეიძლება კიდევ უფრო მძიმე შედეგები დაგვატეხოს თავს.

არ უნდა გვეშინოდეს იმის ხმამაღლა თქმა, რომ ყოველი ხალხის ეროვნული თვითმეგნება, ეთნიკური მენტალიტეტი, რომელიც ყალიბდება უნიკალური ისტორიული, ეთნიკური, კულტურული, მსოფლმხედველობითი თავისებურებების ზემოქმედებით, შეიცავს არა მარტო საუკუნეთა მანძილზე შეძენილ დადებით, არამედ უარყოფით ნიშნებსაც. ამასაც ამბობდა ასი წლით წინათ ილია.

მაშ, საკითხავია, ხომ არ ვქმნით ქიმერას, როცა გვგონია, რომ ახალი ათასწლეული, რომელსაც „საუკუნის პროექტთან“ ერთად ვიწყებთ, თავისთავად, თვალის დახამხამებაში დაამსხვრევს ჩვენი ხალხის ისტორიულ შეგნებაში არსებულ მძიმე ბორკილებს; რომ ჩვენი ადამიანები „ჯადოსნური ჯოხის“ ერთი აქნევით შეებმებიან უმძიმეს სამუშაოს, უდიდეს პროფესიონალიზმს რომ მოითხოვს; უცბად მოევლინება ქვეყნიერებას საქართველოს ახალი „ეკონომიკური ადამიანი?“

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: „საუკუნის პროექტის“ ავტორებისა და ინიციატორების, უწინარესად, წიგნის „დიდი აბრეშუმის გზის“ ავტორის უდიდესი ღვაწლი ის გახლავთ, რომ საქართველო ამ პროექტის მეოხებით იძენს თავის ისტორიულ როლსა და მნიშვნელობას, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდი, უბრუნდება ისტორიულად ტრადიციულ გეოსტრატეგიულ სივრცეს, რაც, უთუოდ, სასიკეთო გავლენას მოახდენს ჩვენს შთამომავლობაზე.

მაგრამ ვიყოთ ბოლომდე თანამიმდევრულნი და პირუთვნელად ვუთხრათ ჩვენს თავს, რომ ისტორიული მნიშვნელობის სხვა პროგრამა — იმ ადამიანის ჩამოყალიბების პროგრამა თუ არ გვექნა, რომელსაც ძალუძს ღვაროს ოფლი — შეიძლება ახლეს დიდი ილიას კიდევ უფრო საოცარი აქტუალობითა და ტრაგიკულობით გამორჩეული გაფრთხილება:

„ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული კი — თან გაგვიტანს, ფეხქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან“...

როცა მუშაობის უუნარობას, ოფლის ღვრის უუნარობას ახსენებდა, ილია ჭავჭავაძე, ჩვენი აზრით, გულისხმობდა იმას, რომ ხალხს იმ ისტორიულ პირობებში აკლდა სიძნელეთა გადალახვის ნება, ალმშენებლობითი შრომის პროცესში დაბრკოლებათა დაძლევის ნება, არ ჰქონდა ამის ჩვევა.

დაბრკოლებათა გადალახვის ნების არსებობა უცილობელი ფსიქოლოგიური ელემენტია ცხოვრებისეული ფილოსოფიისა, ქცევის სტერეოტიპებისა და ხალხის მსოფლმხედველობისა, რასაც ერთად ეწოდება ეთნიკური კულტურა, რომელიც ბევრად განსაზღვრავს ჩვენს ეროვნულ მენტალიტეტს.

დღესვე უნდა ვისწავლოთ ასეთი ჩვევის, ასეთი ნების გამომუშავება, რათა რამდენიმე თაობის შემდეგ იგი ძვალსა და რბილში გაგვიჯდეს, თუ გნებავთ, გენურ დონეზე, ჩაირთოს ის მექანიზმები და იმპულსები, რომლებიც გამოაღვიძებს ხალხის მიძინებულ შრომითს ძალებს.




რით და როგორ უნდა დავიწყოთ ეს?

არსებობს მეცნიერული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ მექანიზმი ამუშავდება, თუ ქვეყნის განვითარების არჩეული ეკონომიკური მოდელი „გადაეჯაჭვება“ ეროვნული თვითმეგნების, მენტალიტეტის თავისებურებებს. სხვა შემთხვევაში ვერ ვისწავლით მუშაობას, რა საერთაშორისო დახმარებაც უნდ გაგვიწიონ, რა დიდი სახსრებიც უნდა გვასესხონ მსოფლიო გაერთიანებიდან. ეს სახსრები სულ ტყუილად გაიფლანგება, მძიმე ტვირთად დააწვება მომავალ თაობებს.

ჩვენ ვერ მოვექცევით საერთო ევრაზიულ, ანდა სხვა ნებისმიერ ეკონომიკურ სივრცეში, თუ არ ამოქმედდა ჩვენი საკუთარი ბაზარი. იგი კი დღეს არ მუშაობს, და გაებედავ იმის მტკიცებას, რომ კიდევ დიდხანს არ ამუშავდება, მიუხედავად მრავალრიცხოვანი „ინექციებისა“, რეფორმების მრავალრიცხოვანი ეტაპებისა, რომლებიც ვითომდა უკვე გავიარეთ, ვინაიდან ჩვენი კანონები, ჩვენი რეფორმები იქმნება ჩვენი უნარის გაუთვალისწინებლად, ისინი ქმედუნაროა, ვინაიდან წარმოიქმნა ჩვენი კულტურული საფუძვლის ეთნოკულტურული მენტალიტეტი, გვერდის ავლით.

გაოცებას იწვევს მხოლოდ ჩვენში მიმდინარე გაუთავებელი დავა იმის მესახებ, თუ ჩვენი ეკონომიკის რეფორმირებისას რომელ ეკონომიკურ სკოლას თუ მიმართულებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

ყველა საბაზრო სკოლას და მიმართულებას, ეკონომიკის რეფორმირების ყველა საბაზრო მოდელს არსებობის თანასწორი უფლება აქვს და მაქსიმალურ უკუგებას გულისხმობს, თუ ითვალისწინებს ეროვნულ სულისკვეთებას, კულტურას, ეროვნულ ისტორიულ-ეკონომიკურ ფესვებსა და ტრადიციებს.

არ არსებობს განვითარების ერთნაირი მოდელები — ისინი ყველა უნიკალურია, რამდენადაც უნიკალურია ეროვნული მენტალიტეტი. როგორც მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, უმეტეს წარმატებას აღწევს ის მოდელი, რომელშიც ეს თავისებურებანი მეტი სისრულით არის გათვალისწინებული. ოღონდ, უნდა მოინახოს ჩვენი ეროვნული თვითმეგნების, ჩვენი კულტურის გენეტიკური კოდის გასაღები.

არის თუ არა ჩვენს ისტორიულ მეხსიერებაში, ჩვენს წარსულში ისეთი გასაღები, რომელიც დაგვეხმარება გავაღოთ კარი და შევაბიჯოთ მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში თანასწორი პარტნიორის უფლებებით, შევქმნათ ქმედუნარიანი საბაზრო მექანიზმი, რომელიც ჩვენს ეროვნულ თავისთავადობას ორგანულად შეუსისხლხორცებს სხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებას — პოლიტიკის, ეკონომიკის სფეროში იქნება ეს თუ ინტელექტუალურ სფეროში?

დიახ, ასეთი გასაღები არსებობს, ეს გასაღებია ოქროს საწმისი, საქართველოს ხსნისა და კეთილდღეობის სიმბოლო, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ სტატიაში გვექნება საუბარი.

**გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილი,**

**საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა საერთაშორისო ფედერაციის თავმჯდომარე.**

(გაგრძელება იქნება).

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ №228.**

### უცნობმა საზღვარი დაარღვია

თურქეთ-საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისათვის თურქი მესაზღვრეების მიერ დაკავებული დაუდგენელი ეროვნების პირი ოთხშაბათს საქართველოს უშიშროების სამსახურის თანამშრომელმა ახალციხიდან თბილისში სარეისო სამარშრუტო ტაქსით ჩამოიყვანა, სადაც ასევე 10-მდე მგზავრი იმყოფებოდა.

როგორც სამარშრუტო ტაქსის მგზავრებმა პრაიმ-ნიუსს უთხრეს, დაკავებული დაახლოებით 30 წლამდე ახალგაზრდა, უშიშროების შეიარაღებულმა თანამშრომელმა ხელბორკილებით თბილისამდე ჩამოიყვანა.

საზღვრის დამრღვევის დაკავების ფაქტი ახალციხის უშიშროებაშიც დაადასტურეს, თუმცა კონკრეტული ვერსიების დასახელებისაგან თავი შეიკავეს.

როგორც პრაიმ-ნიუსს სასაზღვრო ძალებთან დაახლოებულმა წყარომ აცნობა, ერთ-ერთი ვერსიით დაკავებული შეიძლება ჯაშუში ყოფილიყო.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა და საქინფორმმა.**

### დაზუსტება

ჩვენი გაზეთის 25 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ წერილში „სპორტის ტრანზიტული მდინარე კავკასიონთან გუბდებოდა“, საქართველოს ტრანსპორტის პროკურატურაში „კოკა-კოლა ბოთლერზ ჯორჯიას“ მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თარიღად 1997 წლის 17 მაისის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს 1999 წლის 17 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკა — დოკუმენტი
№229. ხუთშაბათი, 26 აგვისტო, 1999 წელი.



# საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

„საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-17, 22-ე და გარდამავალი დებულებების მე-60 მუხლების შესაბამისად საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 1999 წლის 18 აგვისტოს №38 და 19 აგვისტოს №40 დადგენილებებით დანიშნა საოლქო საარჩევნო კომისიებში კომისიის თავმჯდომარე და 6 წევრი. გარდა ამისა, შვიდმა პოლიტიკურმა პარტიამ საოლქო საარჩევნო კომისიებში დანიშნა თითო წევრი.

„საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად ვაქვეყნებთ ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობებს და მათ მისამართებს.

### საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

მისამართი:
საქართველო, თბილისი 380008, რუსთაველის 29, მესამე სართული
საკონტაქტო ინფორმაცია
სატელეფონო კოდი:
საქართველოდან 8 8832 სხვა ქვეყნებიდან + 99532
ტელეფონი 987010
პრესცენტრი 987016
იურიდიული კონსულტაცია 987018
ფაქსი 987000
ინტერნეტი: http//www.cec.gov.ge
ელფოსტა: admin@cec.gov.ge

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობა:

(1999 წლის 4 აგვისტოს მდგომარეობით)

ლომინაძე ჯუმბერ, კომისიის თავმჯდომარე.
ზესაშვილი გიორგი, თავმჯდომარის მოადგილე.
კოპალეიშვილი მამუკა, კომისიის მდივანი.
კომისიის წევრები: აბაშიძე ზურაბ, აფრიდონიძე მუქია, ბერძენიშვილი ბესიკ, განიძე ტარას, გარსევანიშვილი გია, გეგენავა ილია, გოგორიშვილი ხათუნა, დავითაშვილი დენის, ვახანია ნიკოლოზ, მესხიშვილი ელმირა, ნოზაძე დემირ, სალუქვაძე მინდია, ურიდია მერაბ, ციხისთავი ზურაბ, ჭუმბურიძე სლავა, ხვედელიძე ზაზა.

### № 1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისია

მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 6, მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლე, ტელ: 933078, 997506
ა) თავმჯდომარე – შალამბერიძე გიორგი.
ბ) კომისიის წევრები: ბერძენიშვილი გიორგი, გოდერძიშვილი დავით, ელიზბარაშვილი ეკა, ვარსიმაშვილი თამარ, თეთრაძე ეკა, მამულაშვილი დარეჯან, ფერაძე მალხაზ, ფირცხალაიშვილი ნათია, ფიფია მარინა, ქორიძე ნინო, ცინცაძე მანანა, ცომაია იუზა, ჯოხარიძე ია.

### № 2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისია

მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68ა, ვაკის რაიონის გამგეობის შენობა, ტელ: 251619
ა) თავმჯდომარე – კიკნაძე თემურ.
ბ) კომისიის წევრები: ბერძენიშვილი გურამ, ბოჟაძე ვლადიმერ, გოთუა ანზორ, იგრიაშვილი ლამარა, ისაკაძე ლუბა, კვასტაიანი გია, მიქაძე რამაზ, მუსაშვილი ნინო, ნინიკაშვილი მერაბ, ქლენტი ბელიკო, სალინაძე გია, შუბითიძე რამაზ, ჩიბურდანიძე ჯემალ.

### № 3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისია

მისამართი: ქ. თბილისი, კ. გამსახურდიას ქ. 32, საქ. მეც. აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტი, ტელ: 373954
ა) თავმჯდომარე – გაგუა კონსტანტინე.
ბ) კომისიის წევრები: აშრაფიანი მარინა, გეაზავა ბესიკ, გოგოლაძე პაატა, დალაქიშვილი გიორგი, დოლიძე ვახტანგ, თავართქილაძე ივანე, თევდორაძე გიორგი, მამალაძე ბორის, მდინარაძე რევაზ, ძნელაძე გიორგი, წვერავა თამაზ, წიკლაური კახაბერ, ჯელია ასმათ.

### № 4 კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისია

მისამართი: ქ. თბილისი, დიდი ხეივნის ქ. №6, პურპროდუქტების კორპორაცია, II სართული, ტელ: 724291
ა) თავმჯდომარე – მარიამიძე მანანა.
ბ) კომისიის წევრები: ამბარდნიშვილი მაია, ბუაჩიძე თამარ, გოთუა ნანა, იმერლიშვილი მარინა, კავთელაძე ლეილა, კოხრეიძე ავთანდილ, მელქაძე თეიმურაზ, ნეფარიძე ნუნუ, ნიკოლაძე გიორგი, სიდამონიძე ალექსანდრე, ჩირგაძე მამუკა, ციხისელი დათო, ძაგანია ნიკოლოზ.

### № 5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისია

მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №96 ისნის რაიონის გამგეობის შენობა, ტელ: 960090, 770665
ა) თავმჯდომარე – წილოსანი დავით.
საქართველოში რადიკალური აგრარული რეფორმის კურსის გატარებით თავისუფლად შეგვიძლია ორ, სამ ან, მაქსიმუმ, ოთხ წელიწადში გადავჭრა სასურსათო უსაფრთხოება. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის ს/კ ინსტიტუტის მიერ გათვლილი ოპტიმალური პარამეტრებით ქვეყანას შეუძლია 2005 წლამდე აწარმოოს (ათას ტონებში) ყველა სახის მარცვალი 1560, მზესუმზირა – 77, შაქრის ჭარხალი – 135, ბოსტნეული და ბაღჩეული – 124, კარტოფილი – 680, ხილი და კენკრა – 775, ყურძენი 630, ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი – 230, ციტრუსები – 290, თამბაქო – 27, პირუტყვისა და ფრინველის ხორცი – (ცოცხალი წონით) – 180, რძე და რძის პროდუქცია – 790 ათასი ტონა, კვერცხი – 790 მლ. ცალი.

აღნიშნული პროდუქციის გადამუშავების, აგრეთვე, ზოგიერთი სახის შემოტანილ ნედლეულზე მომუშავე საწარმოების სრულად ამოქმედების შედეგად შესაძლებელია ვაწარმოოთ კვების სამრეწველო პროდუქცია (ათასი ტონა) შაქრის ფხვნილი – 50, ჩაი ნატურალური – 60, მცენარეული ზეთი – 30, ყურძნის ღვინო (მლნ. დკლ) – 14, ცქრიალა ღვინო (მლნ. ბოთლი) – 20, კონიაკი – (მლნ. დალ.) – 1, არაყი და ლიქიორი – 0,8, ხილ-ბოსტნეულის კონსერვი (მლნ. პ. ქ.) – 400, მინერალური წყლები (მლნ. ბოთლი) – 400, პაპიროსი და სიგარეტი (მლნ. ცალი) – 12, საკონდიტრო ნაწარმი 40 ათასი ტონა, ხორცი – 90, მოუხდელი რძის პროდუქტი – 220, ყველი ცხიმიანი – 18 ათასი ტონა, თაფლი – 68 ათასი ტონა, აბრეშუმის პარკი – 4 ათასი ტონა, თევზი – 10-12 ათასი ტონა.

მოსახლეობის ერთ სულზე იწარმოება 285 კილოგრამი მარცვლეული, ხოლო კვების მეცნიერული ნორმით დაკმაყოფილება მიაღწევს 83 პროცენტს და ა.შ.

საკვებ პროდუქტებზე ფიზიოლოგიური ნორმის დანაკლისი (მარცვლეული, ხორცი და ხორცის პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, შაქარი, მცენარეული ზეთი) შეივსება შემოტანილი პროდუქტების ხარჯზე, რომლის ძირითადი წყარო პროდუქციის ექსპორტის (ღვინო, ჩაი, შამპანური, კონიაკი, ციტრუსი, ეთერზეთების პროდუქცია, მინერალური წყლები და ა.შ.) შედეგად მიღებული სავალუტო შემოსავალი იქნება. ეს მიიღწევა მხოლოდ სწორი აგრარული პოლიტიკით. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ სასურსათო უსაფრთხოების გზა მარცვლეულის პრობლემის გადაჭრაზე გადის. გვექნება მარცვალი, იქნება ხორცი, რძე, კვერცხი და ყველა სხვა პროდუქტი.

მარცვლეულის წარმოების შესაძლებელი რეზერვების ამოქმედებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაფართოებას. მარცვალი მსოფლიოს

იხ. მე-7 გვ.

## აუდიტი

# ვსწავლობთ, რათა სხვებს ვასწავლოთ

საქართველოს ეკონომიკა დღეს გარდაქმნის გადამწყვეტ ეტაპზეა. რთული სოციალურ-ეკონომიკური საკითხები ორგანიზაციულ-მმართველობითი ფორმების ახლებურად გამოყენებას, თითოეული დარგისა და საწარმოს მიმართ დიფერენცირებულ მიდგომას, კადრების მომზადების უნიფიცირებული სისტემის გამომუშავებას მოითხოვს.

მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნის, საქართველოს ინტეგრირების პროცესის აუცილებლობიდან გამომდინარე, საჭიროა სრულყოფილი, ეფექტიანი აუდიტორული სამსახურის ჩამოყალიბება. მასში გათვალისწინებული უნდა იყოს აუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საერთაშორისო სტანდარტი. პრაქტიკა და სხვა ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ყოველივე ეს ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და უცხოელი ინვესტორების მოზიდვისათვის.

საქართველოში მესამე წელია მუშაობს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო. იგი უაღრესად ფართო და მრავალმხრივ საქმიანობას ეწევა, საჭირო ღონისძიებებს ეტაპობრივად, სისტემატურად ახორციელებს და გარკვეული წარმატებებიც უკვე თვალსაჩინოა. აუდიტორული საქმიანობა დღესდღეობით წარმატებით ახერხებს თვითდაფინანსებას, ინარჩუნებს დარგის განვითარების რეზერვებს. ყოველივე ამან საქართველოს მოქალაქეთა ერთ ნაწილს პატიოსანი შრომით, კანონიერი შემოსავლებით ცხოვრების, დარგის შემდგომი განვითარების საშუალება მისცა. აუდიტორი დღეს ქვეყნის მომავალთან, ცხოვრების ახალ წესთან ასოცირდება. უამისოდ ვერც საბაზრო ეკონომიკაზე ვიოცნებებთ და ვერც ეკონომიკის გაჯანსაღებაზე.

დღეს აუდიტორული საქმიანობის მიმართ საკმაოდ პოზიტიური დამოკიდებულება შეინიშნება. მართალია, ჯერ მისი ეფექტიანობა სასურველიდან შორს არის, წინსვლის ტენდენციები მაინც აშკარაა. ჩვენ მაქსიმალისტები ვართ – გვინდა ყველაფერი ერთ დღეში გაკეთდეს, მაგრამ სამსახურის სრულყოფილი ჩამოყალიბებისათვის საჭიროა გარკვეული პერიოდი. აუდიტორული საბჭოს ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მუშაობით ვრწმუნდებით, რომ იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რათა ეს სისტემა ჩამოყალიბდეს, სოციალურ-ეკონომიკური რეგულირების ცივილიზებული ფორმები დამკვიდრდეს. მან უპირველეს ამოცანად აუდიტორთა პროფესიული დონის ამაღლება, მათი საქმიანობის სისტემის მარეგულირებელი გარემოს სრულყოფა, მისი უნიფიცირება და პროპაგანდა მიიჩნია. მიზნად დაისახა ქართულ ენაზე საცნობარო ლიტერატურისა და მეთოდურ მითითებათა გამოცემა, რაც აუდიტორული მომსახურების სრულყოფისაკენ არის მიმართული.

აუდიტორულმა საბჭომ შეიმუშავა და ბროშურების სახით გამოსცა ზოგადი, საბანკო, სადაზღვევო ორგანიზაციათა და საბირჟო აუდიტის საკვალიფიკაციო მოთხოვნათა პროგრამა, რომლითაც ეწყობა აუდიტორთა ატესტაცია, მის საფუძველზე გაიცემა სერტიფიკატი აუდიტორული მომსახურების ბაზრის ცივილიზებული და ეფექტური საქმიანობის უზრუნველსაყოფად. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აუდიტორის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვას. საამისოდ იგი უნდა აკმაყოფილებდეს

იხ. მე-7 გვ.

## სიტუაცია

# თბილისის პურის ქარხნებს გაჩერება ემუქრება

ამ დღეებში პოლიტიკური მოძრაობის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე მეშფოთება გამოითქვა დედაქალაქის პურის საცხობ საწარმოებში შექმნილი ვითარების გამო.

მოძრაობის თავმჯდომარის მოადგილემ ზურაბ ტყემალაძემ აქ შეკრებილ ჟურნალისტებს განუცხადა:

– წლის დასაწყისში პურის მრეწველთა კავშირმა ხელისუფლებას შესთავაზა თბილისში ფქვილისა და პურის შავი ბიზნესის, ანუ არაჯანსაღი კონკურენციის აღმოფხვრის და ამ სფეროდან საბიუჯეტო შემოსავლების გაორმაგების კონკრეტული წინადადება, რასაც სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო და თბილისის მერია გამოეხმაურნენ. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელშიც პურის

იხ. მე-7 გვ.

## საწარმო

# იგზავნება პირველი პროდუქცია



საქართველოს რკინიგზა დიდ იმედებს ამყარებს განძელების ქარხანაზე, რომელიც ამ ერთი თვის წინ ამუშავდა. ამ დღეებში დანიშნულებისამებრ გაგზავნიან პირველ პროდუქციას, რომელმაც ტექნოლოგიური პროცესების სრული ციკლი გაიარა.

*სურათებზე: ოპერატორი მიხეილ ტატანაშვილი; ქარხნის პროდუქცია – რკინა-ბეტონის განძელები, რომელთა საექსპლუატაციო ვადა 50 წელია.*

*თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.*



საქართველოს რესპუბლიკა
№229. ხუთშაბათი. 26 აგვისტო. 1999 წელი.

## რეგიონი

**თეთრი წყაროს რაიონმა სხვებთან შედარებით იოლად გადაიტანა ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისის ქარტეხილები. ამას ხელი შეუწყო იმან, რომ დამაჯერებლად იარა რეფორმებისა და პროგრესული გარდაქმნების გზით. მატერიალური და კულტურული ფასეულობები, რაც აქ ათეულწლობით იქმნებოდა, გადარჩა. დღეს ისინი მეტ-ნაკლებად ხალხისა და ქვეყნის სამსახურშია, თუმცა, ყოველივე ამის შესახებ უმჯობესია თვით აქაურებს მოვუსმინოთ.**



# კეთილდღეობა ბიუჯეტიდან იწყება

**ვახტანგ ზანგურაშვილი – თეთრი წყაროს რაიონის გამგეობის თავმჯდომარე:**

– ქვეყნის ეკონომიკური რეფორმების ძირითადი მიმართულებები საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტში თავის 1995 წლის 26 ნოემბრის საპროგრამო გამოსვლაში – „საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივები 2000 წლამდე“ – ჩამოაყალიბა. ჩვენს რაიონში ამ პერსპექტივების რეალიზაციის მიზნით, არაერთი კონკრეტული ღონისძიება შემუშავდა, რომლებმაც ეროვნული მეურნეობისა და სოციალური სფეროს ყველა დარგი მოიცვეს, ხელი შეუწყვეს მოსახლეობის დასაქმებას. ბოლო სამ წელიწადში დაახლოებით 3500-მა ადამიანმა დაიმკვიდრა სამუშაო ადგილი, უმთავრესად პრივატიზებულ მიწაზე. ამჟამად სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის 98 პროცენტი კერძო სექტორზე მოდის. შარშან მისმა ღირებულებამ 8 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც 36 პროცენტით მეტია 1995 წლის ამავე მაჩვენებელთან შედარებით. ამოქმედდა რაიონის სამრეწველო პოტენციალიც, რომლის პროდუქციის მოცულობა 1995 წელთან შედარებით 12-ჯერ გაიზარდა. ასევე გაიზარდა ვაჭრობისა და ფასიანი მომსახურების, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტისა და სხვა დარგების ანალოგიური მაჩვენებლები. აღნიშნულ პერიოდში 5-ჯერ გაიზარდა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან ამონაგები თანხები.

ბუნებრივია, გაიზარდა მოსახლეობის შემოსავლებიც და ამის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანებიც. თუ 1995 წელს რაიონის ბიუჯეტში, მაგალითად, 276 ათასი ლარი იყო მობილიზებული, შარშან ამ ციფრმა 1355 ათას ლარს მიაღწია. ბიუჯეტის შევსების დაგეგმილ მაჩვენებლებს აჭარბებენ წლევანდელი 7 თვის შედეგებიც. ამის საფუძველზე კი შესაძლებელი ხდება რაიონმა თანდათან უარი თქვას ცენტრალური ბიუჯეტიდან გათვალისწინებული დოტაციების მიღებაზე. ასეთი განცხადების უფლებას მაძლევს თუნდაც ხელფასებზე დარიცხული საშემოსავლო ანარიცხების ხარჯზე რაიონში სოციალური ფონდის შემოსავლების ზრდა. თუ იმავე 1995 წელს ამ სახის შემოსავლები რაიონში 104 ათას ლარს არ აღემატებოდა, შარშან ის 305 ათას ლარამდე გაიზარდა.

სწორედ ამან განაპირობა 1998 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოსაყოფი დოტაციური თანხების 100 ათასამდე ლარით შემცირება. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რაიონმა ვერ მიიღოს დაგეგმილი სახსრები. სამწუხაროდ, შარშან და წლეულს დიდი ვაივაგლახით ხერხდება დასახელებული თანხების ჩამორიცხვა. ამიტომაც რაიონში ჯერაც გაუცემელია შარშანდელი 7 თვისა და წლევანდელი 3 თვის პენსიები. ჯერჯერობით სრულად ვერც სოცდახმარებების, განათლების დარგის ღონისძიებებისა და სასმელი წყლის სისტემის აღსადგენად გამოყოფილი თანხები მივიღეთ.

ამის მიუხედავად, რაიონული გამგეობა ცდილობს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისთვის სახსრები თავადვე გამოძებნოს. უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველთვიურად გამოეყოფა გარკვეული თანხები. ვეხმარებით მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და მათთან გათანაბრებულ პირებსაც. კონტროლზეა აყვანილი სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილთა ოჯახების სოციალური პრობლემების მოგვარება.

1998 წლიდან, გამგეობის გადაწყვეტილებით, მოსახლეობის მუნიციპალური პროგრამებით გათვალისწინებული მკურნალობის დაფინანსება მთლიანად რაიონული ბიუჯეტიდან ხდება, ამასთან, მოსწავლეები გავათავისუფლეთ სწავლის გადასახადისგან.

საბიუჯეტო შემოსავლების ზრდამ სიკეთე მოუტანა სოფლებსაც. ბუნებრივი გაზი გაიდა სოფელ ჯორჯიაშვილში, ასევე კოდასა და ენაგეთში. დაწყებულია მარაბდის წყალსადენის მშენებლობა. თითქმის ყველა საკრებულოში შეტანილია 200 ტონა ცემენტი, რომელიც მოხმარდება სოფლების კეთილმოწყობას.

დიდ დახმარებას გვიწევს საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი, რომლის მონაწილეობით შედგენილია რაიონის ათეულობით სასიცოცხლო ობიექტის მშენებლობისა და აღდგენითი სამუშაოების პროექტი.

**წინსვლა გრძელდება. როცა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულთან ქვემო ქართლში ლევან მამალაძესთან ბიუჯეტის შესრულების თაობაზე მსჯელობენ, თეთრი წყაროს რაიონს ყოველთვის სტაბილურ შემსრულებელთა შორის ასახელებენ. ასეთი სურათის მოწმე გავხდი ამას წინათაც, როცა რწმუნებულის აპარატში 7 თვის შედეგებს აჯამებდნენ. რაიონმა ტერიტორიული ბიუჯეტი 126, ხოლო რესპუბლიკური – 139 პროცენტით შეასრულა.**

**ნიკოლოზ მეტრეველი – რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსი:**

– შედეგები, რომელსაც მივაღწიეთ, თავისით არ მოსულა, ამას ჩვენი მუშაკების დიდი შრომა და გარჯა უძღოდა წინ. მათ ურთულეს პირობებში უხდებათ მუშაობა, ანაზღაურება კი მცირე აქვთ და იმასაც ხშირად დაგვიანებით იღებენ. ამის მიუხედავად, ვცდილობთ მოვალეობა პირნათლად შევასრულოთ, გადამხდელებს გადასახადის გადახდის აუცილებლობის მენტალიტეტი ჩავუნერგოთ.

ასეთ შრომას ნელა, მაგრამ შედეგი მაინც მოაქვს. რაიონში უკვე შეიქმნა სტაბილურ გადამხდელთა მცირე ნაწილი. ესენია: ელექტრონული კავშირის რაიონული განყოფილება, სს „საქგაზი“, „მეგობრობა“, შპს „სალი“, „ინტერპაკი“ და „კლდეკარი“, სამთო კომპანია შპს „ალგეთი“ და ა. შ.

კარგი მაჩვენებლების მოპოვებისა და უმწიკვლო მუშაობისათვის ჩვენი კოლექტივი ზემდგომმა ორგანომ 3 თვის ხელფასის ტოლი პრემიით დააჯილდოვა. მადლობის მეტი რა გვეთქმის.



წინ ძნელი თვეები გველის. იმედს არ ვკარგავთ, სიძნელეებს დავძლევთ. მით უფრო, რომ გვყავს ისეთი გადამხდელი, როგორიცაა სს „საქგაზის“ გენერალური დირექტორი, ახალგაზრდა მეწარმე დავით ბექუაშვილი, რომელმაც საწარმო რეგისტრაციაში მშობლიურ რაიონში თეთრი წყაროში გაატარა და მიღებული შემოსავლებიდან გათვალისწინებული გადასახადებიც რაიონის ბიუჯეტში შეიტანა.

**დავით ბექუაშვილი – სს „საქგაზის“ გენერალური დირექტორი:**

– ორი წლის განმავლობაში, მას შემდეგ რაც კომპანია ჩვენს მფლობელობაში გადმოვიდა, გადასახადები მკვეთრად გაიზარდა, მაგრამ ვიხდით. ამან მრავალი პრობლემა მოუხსნა რაიონს – ჩვენი სახსრებიდანაც ვეხმარებით სკოლებს, სამედიცინო დაწესებულებებს. გამოვყოფთ თანხებს სოფლების, დაბებისა და რაიონული ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის.

**შპს „ალგეთი“, რომელსაც სამთო კომპანიის სახელით უფრო იცნობენ, ახალგაზრდა საწარმოა. იგი ცოდნით და გამოცდილებით „დატვირთულმა“ ადამიანება დააფუძნეს. ერთი წელიც არ გასულა და მათზე ალაპარაკდნენ. ტრადიციულ სამთამადნო გადამამუშავებელ საწარმოებს ურჩევენ მათ მიბაძონ მუშაობაში, რომელთა ხელში შავი ქვაც ოქროს ფასად იქცა. ამით მათ შეძლეს რაიონის ბიუჯეტში სოლიდური შემოსავლების შეტანა.**

**ნუგზარ სამხარაძე – სამთო კომპანია „ალგეთის“ გენერალური დირექტორი:**

– ჩვენ გავრისკეთ და რთულ საფინანსო და მატერიალურ პირობებში შევუდექით რაიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მანგანუმის მადანის ამოღებას და დამუშავებას, რომელსაც ზესტაფონის ფეროშენადნობთა წარმოებას ვაწვდით. აქაური მადანი მაღალი ხარისხისაა, დამკვეთის დიდი მოწონება მოიპოვა და საფასურსაც რეგულარულად გვიხდის. ეს მუშაობის დიდი სტიმულია. ამრიგად, შეიკრა ეკონომიკური სამკუთხედი – ზესტაფონის ფეროშენადნობთა წარმოება, „ჭიათურმანგანუმი“ და სამთო კომპანია „ალგეთი“. ერთად ჩვენ ბევრ პრობლემას მოვხსნით. სამომავლოდ დიდი გეგმები გვაქვს, ამჟამად 54 ადამიანი დავასაქმეთ და მაღალ ხელფასებს ვაძლევთ. ახალფეხადგმულები ვართ, მაგრამ მიუხედავად ამისა, რაიონის საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის საშეფო დახმარების საქმეში ტოლს არავის ვუდებთ. დავასრულეთ თეთრიწყაროს საშუალო სკოლის შენობის შეკეთება.

**დღევანდელ ვითარებაში საერთო საქვეყნო წარმატება თითოეული მოქალაქის საზრიანობასა და აქტიურ საქმიანობაზეა დამოკიდებული. სოფლად ამ კატეგორიის ადამიანებს უთუოდ მოიჯარე ფერმერები მიეკუთვნებიან. მათი წყალობით წელს რაიონში თავთავიანი კულტურების უხვი მოსავალი მოიწიეს.**

**ფირუზ დავითაშვილი – ჩხიკვთელი ფერმერი:**

– 38 ჰექტარ მიწის ფართობს, რომელიც იჯარით გავიპიროვნეთ, 20 ადამიანი ვამუშავებთ. ჩემთან ერთად ჩემი მოგვარეები ზურაბ, კარლო, ვაჟა და სხვები ილვწიან. შარშან მიწის გადასახადი ერთ ჰექტარზე 30 ლარი იყო, წელს 38-[illegible] კი საშუალო მოსავლიანობა შეგვიმცირდა, დიზელის საწვავის გაძვირებით კი მოსავლის თვითღირებულება გაგვიდიდდა. უკმაყოფილონი მაინც არა ვართ, რაც მთავარია, შრომის თავისუფლება მოვიპოვეთ და მოსავალი, დიდია თუ ცოტა, ჩვენ გვეკუთვნის.

**ქვეყნის კანონმდებლობით ტერიტორიული ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში ჯანმრთელობის დაცვაზე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, არანაკლებ 2,5 ლარია გათვალისწინებული. სამწუხაროდ, ამას ყველგან როდი ახერხებენ და წლობით მოსახლეობაც და მედპერსონალიც სავალალო მდგომარეობაშია.**

**ჯაბუკ იოსელიანი – ჯანმრთელობის დაცვის რაიონული ცენტრის დირექტორი:**

– წელს ჯანმრთელობის ხაზით გათვალისწინებული თანხები ადგილობრივი ბიუჯეტიდან თვეების მიხედვით მიზნობრივად გვაქვს ათვისებული. გამგეობამ თავისთავზე აიღო ვალდებულება ავადმყოფთა სასწრაფო გადაუდებელ დახმარებაზე 50-პროცენტიანი გადასახადი რაიონის ბიუჯეტიდან გაილოს. ასევე იხდის მანგლისისა და თეთრი წყაროს საავადმყოფოებში და ცენტრალურ სამშობიარო სახლში ერთჯერადი კვების საფასურს, მობილიზებულია 4 სასწრაფო დახმარების ბრიგადა, რომელთა ხარჯებსაც გამგეობა ფარავს. კიდევ მრავალი სიახლეა გათვალისწინებული რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით.

**არაერთი სასიქადულო მამულიშვილი, ცნობილი სპეციალისტი, სწორედ რომ სოფლის სკოლიდან ჩასულა დიდი ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში. ვაი, რომ ზოგიერთი რაიონისა და სოფლის სკოლებში მოსწავლეები უსახსრობის გამო, არა თუ ვერ იღებენ სიმწიფის ატესტატს, ვერც კი სწავლობენ. თეთრიწყაროში კი ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ სოფლის მრავალეროვან ახალგაზრდობას სწავლაში უსახსრობამ ხელი არ შეუშალოს.**

**რამაზ ჭელიძე – განათლების განყოფილების გამგე:**

– გამგეობის დადგენილებით წლეულს პირველი სექტემბრიდან სწავლის ქირას ბიუჯეტი გადაიხდის. შევქმენით რაიონული საგანმანათლებლო-საქველმოქმედო ფონდი, რომლის თავმჯდომარედ ღვაწლმოსილი პედაგოგი, ასურეთის საშუალო სკოლის დირექტორი დავით ბექაური დავამტკიცეთ. ამ ფონდში თანხების ჩარიცხვას რაიონის მეწარმეები შეგვპირდნენ. ვიმედოვნებთ, ისინი სიტყვას საქმით განამტკიცებენ, რითაც ჩვენ შევძლებთ მრავალი პრობლემა მოვხსნათ, მათ შორის არაქართული სკოლებისთვის ქართული პროფილის სახელმძღვანელოების შეძენა და მათი მოსწავლეებისათვის უფასოდ გადაცემა. წლეულს სკოლების შეკეთებისა და კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულება სოფლების საკრებულოებს აქვთ მინდობილი და ამას აკეთებენ კიდეც.

ერთ საგაზეთო მასალაში, თუნდაც ერთ გვერდზე, განა შეიძლება მოუთხრო მკითხველს ყოველივე იმის შესახებ, რაც თეთრი წყაროს რაიონში ვნახე და მოვისმინე? ეს უდავოდ დიდი თემაა, მით უმეტეს დღეს, როცა ასე ჭარბად იჩინა თავი პრობლემებმა. მათი დაძლევის გზების მიგნება არც ისე იოლია, მაგრამ თეთრიწყაროელები ამას მაინც ახერხებენ.

ამირან მითაგვარია.

ავტორის ფოტო.

## სასურსათო უსაფრთხოება

# ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალი

(მეხუთე გვერდიდან)

ყველა ქვეყნისათვის სასურსათო უსაფრთხოების კრიტერიუმია. მართალია, ამჟამად ყველა ძირითადი ათი დასახელების სასურსათო პროდუქტი გვაკლია, მაგრამ გვაქვს შესაბამისი რესურსებიც და ბაზაც საჭირო დონით მათი წარმოებისათვის. დიდი ილია შენიშნავდა: „მანამ ქვეყანა ქვეყანას ჰგავდა და ჭკუის მომკითხავი პატრონიცა ჰყავდა, ჩვენს მიწა-წყალს ჩვენთვის სარჩო-საბადებელი არ დაჰნანებია“. ახლა ილიას ამ მითითებას... ხორცი უნდა შევასხათ.

აგრარული ეკონომიკის აღმავლობა აალორძინებს სოფელს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნორმალური სასურსათო უზრუნველყოფის პირობებში, ქვეყანაში ნაკლები იქნება სოციალური დაძაბულობა. ღარიბთა რაოდენობის ზრდა სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ცუდი ორგანიზაციის შედეგია. მომავალში სახელმწიფომ სწორედ ეს საკითხები უნდა დაარეგულიროს.

მართალია, რეფორმის განვლილ პერიოდში სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს პროდუქციის რეალიზაციის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენის, შემოსავლის სურვილისამებრ გამოყენებაში თავისუფლება მიენიჭათ. და თითქოს თავისუფალი კონკურენციისა და მრეწველობის განვითარებისათვის ყველა პირობა შეიქმნა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისათვის განხორციელებულმა ღონისძიებებმა ჯერ კიდევ ვერ მოახდინა ქვეყნის მიკროეკონომიკურ სექტორებზე სასურველი ზეგავლენა. უფრო ზუსტად, მიკროეკონომიკური გარდაქმნა ორგანულად არ შეერწყა ქვეყნის მაკროეკონომიკურ გარდაქმნებს, ამიტომაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარება არადამაკმაყოფილებელია. ორიენტაცია უნდა ავიღოთ საბაზრო მარეგულირებელ ურთიერთობაზე, როგორც ერთადერთ შესაძლო ორიენტირზე მდგომარეობიდან გამოსაყვანად. საქმე ისაა, რომ ინდიკატორი გეგმის ფარგლებში წყდება არა მარტო სტრატეგიული და მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები, არამედ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მაკრო და მიკრო დონეებზე ყოველმხრივი ანალიზი. მისი შედეგებიდან გამომდინარე, ისახება გამოვლენილი ხელშემშლელი ფაქტორებისა და პრობლემების აღმოფხვრის ღონისძიებები. ჩვენი აზრით, ეს რომ სწორედ განხორციელდეს, საჭიროა შემუშავდეს სახელმწიფო მართვისა და ეკონომიკის რეგულირების სისტემის კონცეფცია, არა მარტო მაკრო, არამედ მიკრო დონეებზეც სამართავად, ეს უნდა გახდეს ქვეყნის დაგეგმვისა და მართვის სახელმწიფოებრივი რეგულირების ინდიკატორი.

დღეს, საბაზრო პრინციპებზე გარდამავალ პერიოდში, ძირეულად უნდა გარდაიქმნას საზოგადოებრივი ურთიერთობები. იგი მოიცავს არა მხოლოდ საკუთრებრივ, არამედ საწარმოო ურთიერთობათა ფორმებსაც. მათ შორის მნიშვნელოვანია ეკონომიკური პროცესების ორგანიზაცია და მართვა სხვადასხვა მაკრო და მიკრო დონეებზე. დღეს იგი არ შეესაბამება ამ მოთხოვნებს და საჭიროა საბაზრო პრინციპების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა ორივე დონეზე.

აქ არ შევუდგებით ასკს თავისებურების და მისი სპეციფიკის განხილვას რეგიონულ ჭრილში, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სოფლის მეურნეობის წარმოების თავისებურებები, მისი სპეციფიკური ნიშან-თვისებები, აგრეთვე, ასკ-ს საწარმოების, ორგანიზაციების სპეციალიზაცია, განცალკევებულობა, კოოპერირებისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის დაბალი დონე საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს აგრარული სექტორის სტაბილიზაციის ამოცანის გადაწყვეტას. მისი განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როცა სახელმწიფო აიღებს მთელ პასუხისმგებლობას სასურსათო ბაზრის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად რეგულირებისათვის. ასკ-ს ძირითადი სფერო – სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ დარგად უნდა გამოვაცხადოთ. ამასთან, ამ ეტაპზე უნდა მივაღწიოთ თვითრეგულირებად ბაზარში სახელმწიფოს როლის მკვეთრად გაძლიერებას, შევუქმნათ თანაბარი პირობები ბაზარში მონაწილე ყველა ფორმის მესაკუთრე სუბიექტს; თანდათანობით განხორციელდეს ეკონომიკური გარდაქმნებით სოფლის მეურნეობის საქონელმწარმოებლების ადაპტაცია საბაზრო ურთიერთობებისადმი;

– დამუშავდეს და დაინერგოს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოტანილი სურსათისაგან საკუთარი ბაზრის დაცვის მექანიზმი, რაც ხელს უშლის საკუთარი წარმოების განვითარებას. მკვეთრ გარდაქმნას მოითხოვს სოფლად აგროსერვისული მომსახურება, საბითუმო ვაჭრობის განვითარება, საშუამავლო სტრუქტურების ამოქმედების მექანიზმის შემუშავება და დანერგვა;

– დროულად შეიქმნას მიწისა და ფასიანი ქაღალდების ბაზარი, წინააღმდეგ შემთხვევაში საბაზრო ეკონომიკა ფორმალური ხასიათისა დარჩება;

– საკრედიტო, საგადასახადო, საფინანსო, სადაზღვევო პოლიტიკის შესაძლო რესურსები მივმართოთ წარმოების განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების უზრუნველსაყოფად და არა სპეკულაციური და სხვა მიზნებისათვის;

– მიზანმიმართულად გამოვიყენოთ ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციები. ისინი განვავითაროთ არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც;

– აუცილებელია დამუშავდეს და ამოქმედდეს ქვეყნის რეგიონების აგროსამრეწველო პროდუქტთა ქვეკომპლექსების ეკონომიკური განვითარების პროგრამები. ეს იქნება ცალკეული ამ მხარეების პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მნიშვნელოვანი ორიენტირი.

რეფორმის სტრატეგიული კურსი უცვლელია, დღეს მთავარია, სწორი ტაქტიკური გზების ძიება და დასახვა, დაშვებული შეცდომების ღრმა მეცნიერული გაანალიზება და შეფასება, სათანადო დასკვნების გაკეთება.

**ვახტანგ ბურკაძე,**
საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

**ომარ ვაშაკიძე,**
საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკისა და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

## სიტუაცია

# თბილისის პურის ქარხნებს გაჩერება ემუქრება

(მეხუთე გვერდიდან)

მრეწველებთან, სამინისტროსთან და მერიასთან ერთად თბილისის საგადასახადო ინსპექცია და სტატისტიკის დეპარტამენტიც ჩაერთნენ. ორთვიანი მუშაობის შედეგად შეიქმნა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს პურის საცხობის საწარმოების დაბეგვრას მასში დადგმული სიმძლავრეების მიხედვით, ანუ იმის მიხედვით თუ რამდენი პურის გამოცხობა შეუძლია საწარმოს დღე-ღამეში. დადგმული სიმძლავრის ყოველ ტონაზე უნდა დაწესებულიყო ფიქსირებული გადასახადი – 20 ლარი. ასეთი გადასახადი თანაბრად მისაღებია როგორც მცირე საცხობისათვის, ისე დიდი ქარხნისთვის და, რაც მთავარია, სახელმწიფო ბიუჯეტისთვის.

რით იყო გაპირობებული პურის მეწარმეთა ეს წინადადება? მათ მოიყვანეს კონკრეტული ციფრები:

1998 წელს ქალაქში ყოველდღიურად მოხმარებული 460 ტონა პურიდან 7 მსხვილი ქარხანა აცხობდა 120 ტონას, ხოლო დანარჩენი 425 საცხობი – 330 ტონას, რაც ქვეყანაში კონტრაბანდული ფქვილის მასობრივი შემოტანისა და რეალიზაციის ლოგიკური შედეგია, სახელმწიფო ბიუჯეტში 1998 წელს გადახდილი 4 მილიონი ლარიდან 7 მსხვილ ქარხანას გადახდილი ჰქონდა 3,4 მილიონი, ხოლო დანარჩენ 425 მცირე საცხობს ერთად – 600 ათასი ლარი.

წლეულს მარტ-აპრილში კომისიის მიერ თბილისში 1200 ტონა პურის ცხობის დღეღამური სიმძლავრე დაფიქსირდა. 1200 ტონა რომ გავამრავლოთ 20 ლარზე და შემდეგ 365 დღეზე, მივიღებთ რვა მილიონ შვიდას სამოცი ათას ლარს.

პოლიტიკური მოძრაობის მთავარი კომიტეტის წევრმა, პურის საწარმოთა გაერთიანების ხელმძღვანელმა ვიტალი კვინიხიძემ, რომელმაც პასუხი გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებს, აღნიშნა:

– წლეულს 6 ივნისს ეს პროექტი კომისიამ წარადგინა სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან ვანო ჩხარტიშვილთან, რომელმაც მოიწონა და აღუთქვა კომისიის წევრებს, რომ ყოველმხრივ შეეცდებოდა მხარი [illegible] ჯერ მთავრობის სხდომაზე შემდეგ კი პარლამენტში.

მას შემდეგ ორი თვე გავიდა, მაგრამ პროექტი არა თუ პარლამენტში, მთავრობის სხდომაზეც კი არ განხილულა.

როგორც ჩანს, ვიღაცას რატომღაც ხელს არ აძლევს ფქვილისა და პურის ბიზნესის სრული ლეგალიზაცია. მართალია, ხელისუფლება ფქვილის კონტრაბანდაზე და პურის ცხობაში არსებულ დამალულ შემოსავლებზე უკვე კარგა ხანია ლაპარაკობს, მაგრამ ფაქტია, რომ მეწარმეთა მიერ შეთავაზებული კონკრეტული პროგრამა უყურადღებოდ დარჩა. ამასობაში პურის დაუბეგრავი ცხობით გამოწვეულ არაჯანსაღ კონკურენციას უკვე შეეწირა მე-6 პურის ქარხანა, რომელმაც წელს 6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტში 380 ათასი ლარი შეიტანა, თვითონ 70 ათასი ლარი იზარალა და იძულებული გახდა ქარხანა გაჩერებულიყო. ამას 250 მუშაკის გათავისუფლება მოჰყვა. უდავოა, ზარალს ვერც სხვა ქარხნები გაუძლებენ და მე-6 პურის ქარხნის ბედს გაიზიარებენ.

**კოტე გოგელია.**

## აუდიტი

# ვსწავლობთ, რათა სხვებს ვასწავლოთ

(მეხუთე გვერდიდან)

და იცავდეს მთელ რიგ მოთხოვნებს. ამ მიზნით საბჭომ ქართველ მეცნიერებთან ერთად შეადგინა „აუდიტის ეთიკის კოდექსი“, რომელმაც ხელი შეუწყო აუდიტორთა პასუხისმგებლობის ამაღლებას როგორც კოლეგების, ისე საზოგადოების წინაშე.

აუდიტორული საბჭოს მხარდაჭერით და დახმარებით პროფესორმა ივანე გოდერძიშვილმა მოამზადა და გამოსცა ნაშრომი „აუდიტორული საქმიანობა და მისი საკანონმდებლო უზრუნველყოფა“, ითარგმნა პროფესორ ა. შერემეტის „აუდიტის საფუძვლები“. ცალკე აღნიშვნის ღირსია ამერიკელი პრაქტიკოს-მეცნიერის რობერტ მონტგომერის ფუნდამენტური ნაშრომის „მონტგომერ-აუდიტის“ ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა. ეს ნაშრომი ამერიკაში 14-ჯერ გამოსცეს, რაც ამ ქვეყნისათვის უჩვეულო რამ არის. ამ ნაშრომის ღირსებაზე ბევრის თქმა შეიძლება. ეს არის სახელმძღვანელო, რომელიც ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს ქართველ აუდიტორებს.

ალბათ ძნელი იქნებოდა აუდიტორული რეფორმის განხორციელება, რომ არა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დიდი დახმარება ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმის განსახორციელებლად. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ უკვე ხელთა გვაქვს ორი სოლიდური წიგნი (1500 გვერდი) „აუდიტის ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტები (აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები)“.

აუდიტორული საქმიანობის საბჭო უკვე შეუდგა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ტრენინგს, რომელსაც თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის გამოცდილი მეცნიერ-პრაქტიკოსები უძღვებიან. კურსები მაღალ დონეზეა ორგანიზებული. ტრენინგის შემდეგ მოეწყობა გამოცდები, სადაც მსმენელი ვალდებულია წარადგინოს რომელიმე სტანდარტის ირგვლივ შედგენილი რეფერატი და გაიაროს ტესტირება. სამწუხაროდ, აუდიტორთა ერთ ნაწილს აუდიტის თეორიული ცოდნის აუცილებლობა დღესაც არა აქვს გაცნობიერებული. აუდიტორთა კვალიფიკაციის ამაღლება სწორედ თეორიული ცოდნის პრიორიტეტულობას გულისხმობს, რადგან კარგი თეორიის გარეშე არ არსებობს კარგი პრაქტიკა. ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში დიდმა ილიამ მძაფრად მიუთითა თეორიული ცოდნის დიდ პრაქტიკულ ღირებულებაზე ნებისმიერი საქმიანობისას, რადგან „ცხოვრების მოედნიდან ბურთი დღეს მარტო მცოდნეს გააქვს, მარტო მცოდნეს აქვს საკმაო და საპატიო კერძი წუთისოფლის სუფრაზე“. აუდიტორები უნდა შეეგუონ იმ აზრს, რომ მზამზარეულად ვერაფერს მიიღებენ. მათი დასაქმება და, აქედან გამომდინარე, კეთილდღეობა დამოკიდებული იქნება მის პროფესიონალიზმზე, უნარსა და ორგანიზებულობაზე.

აუდიტორული საქმიანობის საბჭო უკვე შეუდგა რეფორმის მეორე ეტაპს, რომელიც მიმართულია ხარისხის ამაღლების „აუდიტორთა პროფესიონალიზმის სრულყოფისა და ქართველ აუდიტორთა საერთაშორისო აღიარებისათვის. აუდიტორული საბჭოს ხელმძღვანელობას, უპირველესად, მის რეფორმატორ თავკაცს ნოდარ ქებაძეს ნათლად აქვს წარმოდგენილი სამომავლო გეგმები. აქამდე რაც გაკეთდა, ეს მხოლოდ აუდიტის რეფორმის საწყისი ეტაპია და საჭიროა ამ დონეზე გაგრძელდეს მუშაობა. დღეს საკმაოდ კარგად გამოიკვეთა მუშაობის სუბიექტური მიზეზები, მათი ოპერატიულად დაძლევის გზები. მომავალში გაცილებით უფრო რთული პრობლემებია მოსაგვარებელი. მაგრამ მათი არსებობა ვერ დააბრკოლებს რეფორმის განხორციელებას, პირიქით, იგი პრობლემათა დაძლევის ერთ-ერთი სწორი და შედეგიანი გზაა. ჩვენი აუდიტორები არავის ჩამოუვარდებიან ინტელექტით, ეკონომიკური აზროვნებით. ამიტომ, საჭიროა ყველამ ერთად შევქმნათ ქართული აუდიტორული საქმიანობის საკადრისი ავტორიტეტი.

ეჭვს გარეშეა, რომ ყოველდღიურად გაიზრდება მოთხოვნილება აუდიტორულ მომსახურებაზე. საქართველოში აუდიტორული სამსახური გახდება საფინანსო ეკონომიკური საქმიანობის ანალიზისა და კონტროლის უმაღლესი ფორმა, რადგან იგი საბაზრო ეკონომიკის კანონებიდან გამომდინარეობს. ასეთი სამსახური ხელსაყრელია სახელმწიფოსთვისაც – დაიზოგება ბიუჯეტის სახსრები და თვითონ ბიუჯეტიც აუდიტორული მომსახურების შედეგად მიღებული მოგებიდან და გადასახადებიდან შეივსება. აუდიტორულ საბჭოს წინ დიდი და შრომატევადი მუშაობა ელის. დასჭირდება სტანდარტების გამოყენების თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციებისა და კომენტარების შედგენა და, რაც მთავარია, სტანდარტებზე დაყრდნობით ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე აუდიტის ეროვნული სტანდარტების შესადგენად საფუძვლების მომზადება.

დღეს საქართველოში აუდიტი აღმავლობის გზაზეა. იმედია, საერთო თანადგომით მალე იგი უფრო სერიოზულ წარმატებებსა და აღიარებას მოიპოვებს.

**ნიკო ბაკაშვილი,**
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პრეზიდენტის პირველი ხარისხის სტიპენდიანტი, აუდიტური ფირმის დირექტორი.

პრობლემა

# რამდენნაირი ვაჭრობის ნებართვის გადასახადია საჭირო

პროფკავშირის რესპუბლიკურმა საბჭომ თბილისის ვაჭრობის მუშაკთა სახელით წლეულს, თბილისის მერიასა და საკრებულოს რამდენჯერმე სთხოვა მაღაზიების მიმდებარე ტერიტორიაზე სტიქიური ვაჭრობა აეკრძალა, რათა სტაციონარულ სავაჭრო ცენტრებს ნორმალური მუშაობის საშუალება მისცემოდათ. ეს ბიუჯეტში შენატანებს საგრძნობლად გაზრდიდა.

თბილისის მოსახლეობა, სავაჭრო ორგანიზაციები და საწარმოები ქალაქის ხელმძღვანელობის მხრიდან პრობლემის არსებითად და უმოკლეს ვადაში მოგვარებას მოუთმენლად ელოდნენ, მაგრამ... ბოლოდროს მიღებული გადაწყვეტილების გამო შესაძლოა, აღნიშნული პრობლემის მოწესრიგება კვლავ გაურკვეველი ვადით გაჭიანურდეს, რადგან თბილისის საკრებულომ 1999 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით წლეულს, 1 ივლისიდან ვაჭრობის ნებართვისათვის დააწესა მოსაკრებელი სავაჭრო ობიექტებისათვის (პირველ ზონაში დღეში 50 თეთრი, ხოლო მე-2 და მე-3 ზონაში – 30 თეთრი). თბილისის მერიას სურვილი აქვს მოაწესრიგოს გარევაჭრობები, საკრებულო კი პირიქით – ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებით გარევაჭრობას აკანონებს და მას ფასიანს ხდის.

პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს აზრით, თბილისის საკრებულოს აღნიშნული გადაწყვეტილება კანონმდებლობით და იურიდიულადაც ალოგიკურია. უფრო მეტიც, იგი დისკრიმინაციულია და დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს, რადგან მეწარმეები (რომლებიც ძირითადად გარევაჭრობით არიან დაკავებულნი) მოქმედი კანონმდებლობით სასამართლოში რეგისტრაციით იღებენ ვაჭრობის უფლებას (ნებართვას), რაც სასამართლოების მიერ მათთვის დამტკიცებულ წესდებაში და დოკუმენტებშია ასახული. აქედან გამომდინარე, თბილისის რაიონების გამგეობათა მიერ ვაჭრობის ნებართვის მოსაკრებლების ამოღების მიზნით სავაჭრო ობიექტების და გარევაჭრობების აღრიცხვა ამ ობიექტების და პიროვნებების სასამართლოებში რეგისტრაციის გაუქმებად უნდა მივიჩნიოთ. სხვანაირად რომ ვთქვათ, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე ძალას კარგავს (თუ გნებავთ უქმდება) სასამართლოების გადაწყვეტილებაც.

სავაჭრო საქმიანობა სამეწარმეო საქმიანობად ითვლება, და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 209-ე მუხლის თანახმად, ფიზიკური და იურიდიული პირები ამ მიზნით დადგენილ გადასახადს იხდიან. ამდენად, თუ ერთნი სავაჭრო საქმიანობისათვის იხდიან გადასახადს, მაშინ რა არის ვაჭრობისათვის მოსაკრებელი, ახალი სამეწარმეო გადასახადი? აქ საკრებულოს გადაწყვეტილება საგადასახადო კოდექსს ეწინააღმდეგება.

ის ხომ ფაქტია, რომ დღეისათვის თბილისში ერთი გარემოვაჭრეც ვერ იმუშავებს დამალულად, ყველანი არაოფიციალურად ზუსტად არიან აღრიცხულნი და ისინი სხვადასხვა პირებს ყოველდღიურად 50 თეთრს კი არა, ათჯერ მეტ თანხას უხდიან. საინტერესოა, სად მიდის ეს თანხა? ამიტომ ქალაქის ხელმძღვანელობამ უმჯობესია ახალი გადასახადების შემოღებაზე კი არა, ამ სფეროში წესრიგის დამყარებაზე იზრუნოს.

თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით მოსაკრებლებს იხდიან სავაჭრო ობიექტების მესაკუთრე ან მეიჯარე ფიზიკური ან იურიდიული პირები. ხშირად სავაჭრო ობიექტის მესაკუთრე მოსაკრებელს იხდის მთლიან ფართობზე, ასევე გადასახადს ახდევინებენ იმ ობიექტში იჯარით მომუშავე ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებსაც, რაც უკანონოა, საქმე გვაქვს ორმაგ დაბეგვრასთან.

ამ წესით, ვაჭრობის ნებართვის მიმღები ვალდებულია მკაცრად დაიცვას საქონლის რეალიზაციის წესები, რომლებიც საქართველოს ეკონომიკის, ვაჭრობის და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების და სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროების ერთობლივი ბრძანებით და სხვა ნორმატიული დოკუმენტებითაა დამტკიცებული. გაუგებარია, აღნიშნულმა სამინისტროებმა 1996 წლის 19 დეკემბერს საქონლის რეალიზაციის წესებზე რამდენი ერთობლივი ბრძანება გამოსცეს, ან რომელი დოკუმენტი იგულისხმება „სხვა ნორმატიულ დოკუმენტებში“?. ვინ აკონტროლებს მათ?



რაც შეეხება თბილისის შემოსავლების ზრდას და მის კეთილმოწყობას, ჩვენ მხარს ვუჭერთ ასეთ წინადადებას და იგი შესაძლებელია რეალურად შესრულდეს მხოლოდ ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის გატარებითა და თანაბარი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნით.

ყოველივე ამის შემდეგ ისმის კითხვა – რამდენჯერ უნდა დაწესდეს ვაჭრობის ნებართვისათვის გადასახადი?

ჩვენი კატეგორიული მოთხოვნაა, დღის წესრიგში დადგეს თბილისში გარევაჭრობების მოწესრიგება და ამ ახალი გადასახადების დაუყოვნებლივი გაუქმება.

წინააღმდეგ შემთხვევაში 1999 წლის 26 აგვისტოს საგაფიცვო კომიტეტი დაიწყებს გამაფრთხილებელ გაფიცვებს.

**ვახტანგ მაჭავარიანი,**
საქართველოს ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

თითქმის ნატურიდან

# კუჭალა

კუჭალა ცნობილი კაცია, მისი სახელი სოფლის თავში რომ ახსენო, ბოლოში გაიგონებენ. ერთი აქაური აკადემიის რექტორია და მეორე კუჭალა, რომელსაც ამქვეყნად რამე დაეჯერება. ეტყობა, ამიტომაც ირჩევდნენ კუჭალას წლების მანძილზე რაიონულ სასამართლოში მსაჯულად. იქ გამოსვლებით მაინც და მაინც თავს არ იკლავდა, მაგრამ თუ რამეს იტყოდა, წვეთი არ გაავარდებოდა.

კუჭალა ადრეც, როცა კოლმეურნეობის სახერხზე მუშაობდა და მრგვლად მოხარშულ დედლებს შეექცეოდა, და ახლაც, როცა უმუშევარი დარჩა, ერთთავად კომუნისტების გინებაშია. აფერისტები იყვნენ და აფერისტულად დაამთავრეს ცხოვრება – ბობოქრობს.

ისე, არა მგონია, კომუნისტები მისი მხრიდან ასეთი სამდურავის ღირსნი იყვნენ. მით უფრო, რომ თავის დროზე, დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, კუჭალამ მათი წყალობით, საფუძვლიანი აკადემიური განათლება მიიღო (სოფლის აკადემიის სრული კურსი გაიარა) და კარგა მოზრდილი დიპლომიც დაითრია, რომელიც „შიფანერკაში“ საგულდაგულოდ შეინახა.

დღეს ბევრი ამას საქილიკოდ იყენებს, ზოგი აქეზებს კიდეც – აიღე ეგ დიპლომი, მთავრობას მიადექი და სამუშაო მოსთხოვეო. კუჭალა ამაზე ცალყბად იღიმება – მოგცლიათ და ლაქლაქებთ, მე კი არა, მწერლები და აკადემიკოსები, ყოველთვე რომ ჩამოდიოდნენ საქეიფოდ და სალექციოდ, თვითონაც დატლაკილანი დარჩნენ და მე სამუშაოს ვინ მამაქვავებსო.

ეტყობა, ამიტომაც უფრო აიცრუა გული კომუნისტებზე, არც მათი ნასწავლი გამოადგა და არც დიპლომი. ასეთ შემთხვევაში, მეტი რა გზა ჰქონდა, დიპლომი, როგორც გითხარით, მოდიდან გამოსულ „შიფანერკას“ მიაბარა, თავად მამა-პაპური თოხი და ბარი მოძებნა, ხელის „ტაჭკაში“ ჩააწყო, ზედ საჭმელ-სასმელიც დაუმატა და ჰექტარნახევრიანი ნაკვეთისკენ (ნაკვეთი კოლმეურნეობის დაშლის შემდეგ გამოუყვეს) სულ ცუხცუხით გაუყვა.

ზოგს ესეც არ მოეწონა. სოფელში ხმა გავარდა: კუჭალას ნაკვეთი სახერხი ჰგონია, იქ სამუშაოდ კი არა, საქეიფოდ და ჩრდილში საკოტრიალოდ მიდისო. ამის თაობაზე გუშინ სალამოს პრისტემაც (კუჭალა და პრისტე ძველისძველი ძმაკაცები არიან), როცა საკმაოდ შეზარხოშდნენ, რაღაცნაირად გადაუკრა:

– ახლა დროა დავამთავროთ, – შეაპარა პრისტემ.

– მაიცა, კაცო, რა გეჩქარება?

– არ მეჩქარება, მაგრამ დროა ასეთი, შენ რა, თავი ისევ სოციალიზმში ხო არა გგონია?

– ამას საით უკაკუნებ? – აიმრიზა კუჭალა.

– საითა და იქით, საბაზრო ეკონომიკისკენა.

– მოგცლია ერთი, სოციალიზმიდან ბაზარზე იმიტო კი არ გადავედით, რომ აღარაფერი ვჭამოთ. მე, მაგალითად, პირიქითა მგონია.

– ამიტომაც მიგდის კარგად საქმე.

– ამას რატო მეუბნები?

– იმიტო, რო უფრო მეტსა ჭამ, ვიდრე მუშაობ. ეს საბაზრო ეკონომიკას არამც და არამც არ უხდება.

– ეგ საიდან დაასკვენი? – ხმას აუწია კუჭალამ და ჭამას უფრო მოუმატა (ასეთი ჩვეულება აქვს, ვინმე რომ გააბრაზებს, ჯავრს საჭმელზე იყრის).

– იქიდანა, რომა ხვნეშა-ხვნეშით ჭამ, ოჯახი თუ არ გეცოდება, სხვები მაინც შეიბრალე.

– სხვებს რაში ეკითხებათ, მე რამდენს შევჭამ?

– როგორ თუ არ ეკითხებათ, სულ ზემოთ ხო არ დავრჩებით, ერთხელაც იქნება და უფალი მოგვაკითხავს!

– მომაკითხავს და აქ დავხვდები.

– სხვა რამეზე გეუბნები... დიდი წონა გაქვს, თანაც იცი, სასაფლაომდე, როგორი აღმართია. შენთვინ გეუბნები, თორე, მე რა მენაღვლება, ქარივითა ვარ, სულ ღიღინ-ღიღინით წამასვენებენ.

– მე, რა, რახან მსუქანი ვარ, დამაგინებენ? გადამრევენ ეს მამაძაღლები, ქელეხში ხამლამით გაძღომა უნდათ, გარჯა კი არა. ასეთები, აბა, საბაზრო ეკონომიკას ააშენებენ? – მთლად ცეცხლი მოიკიდა კუჭალამ და სუფრაზე დარჩენილ სანოვაგეს კიდევ ერთხელ შეუტია.

– კარგით, გეყოფათ, – ჩაერია პოლემიკაში კუჭალას მეუღლე, – ნუ ანერვიულებ, პრისტე, ამ საწყალს, თორემ, ხო ხედავ, სახვალიოდ აღარაფერი დაგვიტოვა.

– შენ გაჩუმდი მანდა! – თვალები დაუბრიალა დედაკაცს კუჭალამ.

– ვითომ, რითვინა?

– იმითვინა, რომ ენა გისწრებს წინა. შენ რო ენას არ ატარტალებდე, სოფელი საიდან გაიგებდა, ბევრსა ვჭამ თუ ცოტასა?

– პრისტემ ცოლ-ქმრის ჩხუბით ისარგებლა და სუფრიდან აითესა.

ეს გუშინ, მაგრამ დღეს კიდევ, უთენია, რძლის ძმა დაადგა თავზე კუჭალას. ეტყობა, ქალაქში მიდის (კაიხანია თბილისში ცხოვრობს) და დის სანახავად შემოიარა. „ამასაც კაი ჭვარტლიანი ენა აქვს“, გაიფიქრა კუჭალამ, თუ მაყირი დაუწყო, ვეღარ მოუთმენს და კარგა გვარიანად გამოლანძღავს.

კუჭალას ეს არ გაუჭირდება, მაგრამ გუშინ ყველაფერი შეჭამა და რომ გაბრაზდეს, გული რით დაიოკოს? ეს გაითვალისწინა და დაზავება ამჯობინა – მარანში შებაჯბაჯდა, სამლიტრიან ქილაში არაყი ჩამოასხა და სტუმარს შესთავაზა:

– წაიღე, ქალაქში მაცხოვრებელი კაცი ხარ, გამოგადგება.

– გმადლობთ, კუჭალ ილიჩ (როცა გაბრაზება უნდა, კუჭალას მამის სახელით მიმართავს), მაგრამ ვერ წავიღებ.

– ვითომ რათაო, რა გურულმა ბზიკმა გიკბინა?

– ბზიკი რა შუაშია, ქილას აკლია და გზაში ჭანჭყარს დაიწყებს.

– ქილა კი არა, შენ თვითონა ხარ საჭანჭყარებელი, – ვეღარ მოითმინა კუჭალამ, – რაღაც ერთი ჭიქა აკლია და იმისთვინ იწუნებ?

– ეს პირველი შემთხვევა რომ იყოს, ხმას არ ამოვიღებდი. საერთოდ, რაღაც რომ არ დამაკლო, არ შეგიძლია. თუ მაძლევ, სავსე მამეცი, რატომ უნდა ვიზარალო? ახლა ძველი დრო კი არ არი. ყველგან რომ ასე დამაკლონ, გავკოტრდები და მშიერ-მწყურვალი დავრჩები.

– ვა, ეს ვის გადავეყარე, კაცოო, მუქთად გაძლევ და კიდევ შენ ზარალდები? რაც არ გინდა, ღმერთმა ნუ მოგცეს. – ესა თქვა კუჭალამ, დაავლო ქილას ხელი და ბაჯბაჯით ისევ მარანში შეათრია. მერე ხელის „ტაჭკა“ გამოაგორა, ჩააწყო შიგ თოხი, ბარი, ნამგალი, სათესლე კარტოფილი (საჭმელი აღარ გადარჩა და რას ჩადებდა) და ნაკვეთში მიმავალ გზას გულამღვრეული გაუდგა.

მიდიოდა და თან ბუტბუტებდა:

– ამ საბაზრო ეკონომიკამ სულ გაათახსირა ეს ქალაქელები. თვითონ ყველაფრიდან მოგება უნდათ (მუქთად მიცემული არყიდანაც კი), მე კი ჩემივე არყიდან ერთი ჭიქა რომ „გავახალტურო“, ამასაც მედავებიან...

**ოთარ ხუციშვილი.**

სარედაქციო საბჭო:
თემურ ბასილია (საბჭოს თავმჯდომარე), ელგუჯა ლებანიძე, თამაზ მაღლაკელიძე, რუსლან რუსია, ზურაბ ტყემალაძე, ნოდარ ჭითანავა, ოთარ ხუციშვილი (რედაქტორი), ვახტანგ გელაშვილი (ტექნიკური რედაქტორი).

№229. ხუთშაბათი, 26 აგვისტო, 1999 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლუჟკოვი მზად არის გზა დაუთმოს პრიმაკოვს





იური ლუჟკოვმა სატელევიზიო გადაცემაში გამოსვლისას განაცხადა, რომ მზად არის კენჭი არ იყაროს გაისად პრეზიდენტის არჩევნებში იმ პირობით, თუ უმაღლეს სახელმწიფო პოსტზე თავის კანდიდატურას დაასახელებს ევგენი პრიმაკოვი. მოსკოვის მერის აზრით, პრიმაკოვი „ის ადამიანია, რომელსაც შეუძლია აალორძინოს რუსეთი“.

ეს სენსაციური განცხადება ლუჟკოვმა გააკეთა მაშინ, როცა განმარტა მოძრაობა „მამულის“ ყრილობის მეორე ეტაპის შედეგები. იმავე ყრილობაზე გამოსვლისას ლუჟკოვმა აღნიშნა, რომ ბლოკს „მამული – მთელი რუსეთი“ შესწევს უნარი გაიმარჯვოს სათათბიროს არჩევნებში 19 დეკემბერს, მაგრამ ბლოკი მარტო ამისთვის როდია შექმნილი, გარდა ამისა, გამარჯვების შემთხვევაში, იგი არ აპირებს მონაწილეობა მიიღოს სათათბიროს მუშაობაში, რადგან კიდევ ერთხელ იყრის კენჭს მოსკოვის მერის თანამდებობაზე. „მთელი რუსეთის“ ლიდერი ვლადიმერ იაკოვლევიც არ აპირებს სანქტ-პეტერბურგის გუბერნატორის პოსტის დატოვებას. სიაში მათი მონაწილეობა, როგორც მერმა თქვა, „ინდიკატურ ხასიათს ატარებს“. რაც შეეხება სხვა გუბერნატორებს, აგრეთვე იმათ, ვინც ოფიციალურად არ შედის პრიმაკოვის მოძრაობაში, როგორც ლუჟკოვმა თქვა, „დამოუკიდებელი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ“.

„მამულის“ ლიდერმა მკაცრად გააკრიტიკა მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა და განაცხადა, რომ გრძელდება „ქვეყნის გაძარცვა და კორუფცია“. როგორც მან თქვა, ბოლო დროს ქვეყანაში დაკარგულია მმართველობა მთელ სახელისუფლებო ვერტიკალზე, „დემოკრატიული ხელისუფლება კი თანდათან გარდაიქმნება ხალხისათვის გაუგებარ რეჟიმად“. ლუჟკოვმა, აგრეთვე მკაცრად გააკრიტიკა მთავრობის აგრარული პოლიტიკა.

ყრილობის სტუმარმა, რუსეთის აგრარული პარტიის თანათავმჯდომარემ ვიქტორ სემიონოვმა განაცხადა, რომ „დღეს ისახება ნამგლის, უროსა და საღი აზრის კავშირი“. როგორც მან თქვა, „მამული – მთელი რუსეთი“ ბლოკთან შეერთების შესახებ რუსეთის აგრარული პარტიის გადაწყვეტილებას ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებები მოჰყვა“. ჩვენ განვიცდით კოლოსალურ ზემოქმედებას მარცხნიდან, რომლის მიზანია რუსეთის აგრარული მოძრაობის დაშლა“, – თქვა მან.

ყრილობაზე დაამტკიცეს ფედერალური სია 350 კაცის შემადგენლობით, რომლითაც მოძრაობა მონაწილეობას მიიღებს პარლამენტის არჩევნებში. მასში წარმოდგენილი არიან ცნობილი პოლიტიკოსები, აგრეთვე, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები. მათ შორის, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის მთავრობის ყოფილი წევრები: რამაზან აბდულატიპოვი, გიორგი ბოოსი, ტატიანა დმიტრიევა, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილე არტურ ჩილინგაროვი, დეპუტატები სტანისლავ გოვორუხინი, ბორის გრომოვი, ეკატერინე ლახოვა, თათრეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ფარიდ მუხამეტშინი, ირკუტსკის, მოსკოვისა და ნიჟეგოროდის ოლქების გუბერნატორები, ცნობილი მსახიობები ალექსანდრე კალიაგინი, ოლეგ ტაბაკოვი, „სპარტაკისა“ და რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ რომანცევი და სხვები. სია დახურულ კარს მიღმა დაამტკიცეს.

შაბათს, ვლადიმერ იაკოვლევის თავმჯდომარეობით უფაში გაიმართა მოძრაობა „მთელი რუსეთის“ ყრილობა, რომელზეც ასევე დაამტკიცეს მოძრაობის პროგრამა.

ყრილობის დელეგატებმა, რეგიონების წარმომადგენლებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმ ფაქტის გამო, რომ „მამულთან“ გაერთიანების შედეგად სიაში შეყვანილი 350 კანდიდატიდან 40 პროცენტზე მეტს შეადგენდნენ მოსკოვის, მოსკოვის ოლქისა და პეტერბურგის წარმომადგენლები.

საბოლოო გადაწყვეტილებას ამ საკითხთან დაკავშირებით ბლოკის დამფუძნებელი კონფერენცია 28 აგვისტოს გამოიტანს.

# ცოცხლების პოვნის იმედი აღარ აქვთ

თურქეთის ხელისუფლებას ცოცხლად დარჩენილების პოვნის იმედი აღარ აქვს ძლიერი მიწისძვრის შემდეგ. აცხადებენ, რომ დაიღუპა თითქმის 20 ათასი კაცი, მაიკლ ენკვისტმა – გაეროს ჰუმანიტარული ფონდის წარმომადგენელმა ბი-ბი-სის აუწყა, რომ ცოცხალი აღარავინ გადარჩებოდა. როგორც ფიქრობენ, კიდევ 30 ათასი კაცია მოქცეული ნანგრევებში. თურქეთის პრემიერ მინისტრი ბიულენტ ეჯევითი ყველას, ვინც უსახლკაროდ დარჩა, შეჰპირდა, რომ უახლოეს მომავალში კარვების ბანაკებში გაანაწილებენ. მან განაცხადა, რომ გზების, ხიდებისა და კავშირგაბმულობის ხაზების დანგრევის გამო მისი მთავრობა ვერ ახორციელებს სათანადოდ ენერგიულ ღონისძიებებს დამანგრეველი მიწისძვრის შედეგების აღმოსაფხვრელად.



# უზბეკი ბოევიკები ყირგიზეთში



ყირგიზეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ახორციელებენ ღონისძიებებს ისლამისტი ბოევიკების წინააღმდეგ, რომლებმაც ამ თვეში მეორეჯერ გადაკვეთეს საზღვარი ტაჯიკეთიდან და რამდენიმე კაცი აიყვანეს მძევლად. როგორც ოფიციალური პირები აცხადებენ, მთავრობის ჯარები სამხრეთ სასაზღვრო რაიონში შეებრძოლნენ ბოევიკებს, და დაახლოებით 10 მათგანი გაანადგურეს. საზღვრის დამრღვევებმა, როგორც ფიქრობენ, ძირითადად უზბეკებმა, დაიკავეს ყირგიზეთის რამდენიმე დასახლებული პუნქტი. მათაც აიყვანეს მძევლები, რომელთა შორის 4 იაპონელი გეოლოგია. ყირგიზეთის პრეზიდენტმა ასკარ აკაევმა თავდაცვის მინისტრი გადააყენა იმის გამო, რომ მან ვერ აღკვეთა საზღვრის დამრღვევთა მოქმედება.

# „შანხაის ხუთეულის“ შეხვედრა ბიშკეკში

შუა აზიის ქვეყნების უმაღლესი დონის ბიშკეკის შეხვედრის გახსნამდე პრეზიდენტმა ელცინმა მოლაპარაკება გამართა თავის ჩინელ კოლეგასთან ძიან ძემინთან. ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და ყაზახეთის ლიდერებთან ერთად ისინი განიხილავენ რეგიონალური თანამშრომლობის, უწინარეს ყოვლისა, საზღვრების უსაფრთხოების საკითხებს. როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტი აღნიშნავს, რუსეთი ძალზე შეშფოთებულია იმით, რომ არსებობს ჩეჩნეთისა და დაღესტნის მსგავსი რადიკალური ისლამისტური მოძრაობის გავრცელების საშიშროება რუსეთის სამხრეთით მდებარე ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში იმ დროს, როცა ჩინეთი ცდილობს ბოლო მოუღოს სეპარატისტს სასაზღვრო სინძიანის პროვინციაში, რომელსაც მხარს უჭერენ შუა აზიის ქვეყნების მუსლიმანები.

# შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემა ზრდის დისკონტის განაკვეთს

ამერიკის ცენტრალურმა ბანკმა – ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ მეოთხედი პროცენტით გაადიდა მოკლევადიანი ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთი, რითაც ეს მაჩვენებელი 5,25 პროცენტამდე გაზარდა. ასეთი ღონისძიება დიდი ხანია მოხალოდნელი იყო და ფედერალური სარეზერვო სისტემის განცხადებაში ნათქვამია, რომ იგი აუცილებელია უინფლაციო ეკონომიკური ზრდისათვის. როგორც ბი-ბი-სის ეკონომიკურმა კორესპონდენტმა აღნიშნა, მსოფლიო საფინანსო ბაზრებმა შვებით აღიქვეს ამერიკის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელთა სიტყვები იმის შესახებ, რომ იგი კიდევ ერთხელ აპირებს უახლოეს დროში დისკონტის განაკვეთის გაზრდას.

# რუსეთის თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ დაღესტანში გამარჯვება მოიპოვეს

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა იგორ სერგეევმა განაცხადა, რომ რუსეთის ჯარებმა დაიბრუნეს დაღესტნის ყველა სოფელი, რომლებიც დაკავებული ჰქონდათ ისლამისტ ბოევიკებს შამილ ბასაევის მეთაურობით. სერგეევმა თქვა, რომ ჯარები ეწევიან განაღმვას და სოფლებს წმენდენ დარჩენილი ბოევიკებისაგან. მაგრამ თავდაცვის მინისტრმა ისიც აღნიშნა, რომ ბოევიკებმა შეიძლება პარტიზანული ომი წამოიწყონ. ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა გენერალმა ვიქტორ კაზანცევმა მანამდე თქვა, რომ ბრძოლების დროს გაანადგურეს იმ 2000 ბოევიკის ნახევარი, რომლებსაც ორი კვირის განმავლობაში დაკავებული ჰქონდათ დაღესტნის რამდენიმე სოფელი.



ორშაბათს მეამბოხეებმა განაცხადეს, რომ რაიონს ტოვებენ რუსეთის ჯარების წინააღმდეგ ინტენსიური ბრძოლების შემდეგ, რომლებმაც გამოიყენეს ავიაცია და არტილერია.

# რუსეთს ორახოვაცში არ უშვებენ



შეერთებული შტატები გამოექომაგა კოსოვოში მყოფ რუსეთის კონტინგენტს, რომელიც აპირებს ქალაქ ორახოვაცის რაიონში განლაგებას, და გამოთქვა აზრი, რომ რუსი მშვიდობისმყოფელები ობიექტურები იქნებიან. ეთნიკურმა ალბანელებმა გადაკეტეს ქალაქში შესასვლელი გზა და არ უშვებენ იქ რუს ჯარისკაცებს, რომლებმაც, გეგმის შესაბამისად, უნდა შეცვალონ პოლანდიის სამშვიდობო კონტინგენტი. ალბანელები ამბობენ, რომ რუსი დაქირავებულები მონაწილეობდნენ ალბანელთა წინააღმდეგ დანაშაულობებში ამასწინანდელი კონფლიქტის დროს. სიტუაციის მოგვარების მიზნით გამართული მოლაპარაკება წარუმატებლად დამთავრდა, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯეიმს ფოულიმ განაცხადა, რომ რუსი ჯარისკაცების მიმართ ეჭვი საფუძველს არის მოკლებული.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადეს
ლია გოგიჩაიშვილმა, ლევან ბოჭორიშვილმა.

## დედაქალაქი

# „ლოკომოტივის“ ფერიცვალება

(პირველი გვერდიდან)

– რეკონსტრუქცია წლეულს 3 ივნისს დავიწყეთ, – მითხრა სტადიონის დირექტორმა **გივი ჭანტურიძემ** – მოედანზე მწვანე საფართან ერთად მიწა ამოვიღეთ 75 სანტიმეტრის სიღრმეზე, რომ უნიკალური სადრენაჟო მოწყობილობა გაკეთდეს. პირველ ფენად 30 სანტიმეტრის სიმაღლეზე მსხვილი ქვაღორღი დაიყარა, მთლიანად ჩაიწყო აზბესტის სადრენაჟო მილები. ახლა მას წვრილი ღორღი და მიწა დაეყრება, შემდეგ კი ბელტების მწვანე საფარი დაიგება, რომელსაც, ალბათ, საზღვარგარეთიდან ჩამოვიტანთ. ასე რომ, ჩვენს ფეხბურთელებს იდეალურ ბუნებრივ საფარზე მოუწევთ თამაში.



სარბენი ბილიკების ხარჯზე მოედნის ზომები გავზარდეთ (105X68) და საერთაშორისო სტანდარტებს გავუთანაბრებთ. თანაც, სათამაშო მოედანს 10 მეტრით დასავლეთ ტრიბუნების მხარეს გადმოვწევთ, მაყურებელთან ახლოს რომ იყოს.

რეკონსტრუქციის გეგმით, სტადიონს ტრიბუნები მხოლოდ დასავლეთის მხარეს ექნება, სადაც 15 ათასი ინდივიდუალური სკამი დამონტაჟდება. სამუშაოებს ერთ-ერთი გერმანული ფირმა შეასრულებს, რომელმაც კიევის ცენტრალური სტადიონი შეაკეთა.

რაც შეეხება აღმოსავლეთ მხარეს, ბატონი აკაკი ჩხაიძის მითითებით, ორი სათადარიგო მოედანი კეთილმოეწყობა და აშენდება ცალკე შენობა მსაჯთა ოთახით, პრესცენტრით, გასახდელებით, სამედიცინო ცენტრით და სამხაპეებით. თითოეული ოთახის ფართობი, სულ მცირე, 80-100 კვადრატული მეტრი იქნება.

**– განათების და ტაბლოს პრობლემაც მოგვარდება?**

– აბა, ისე რეკონსტრუქციას რა ფასი ექნება. დავამონტაჟებთ უცხოეთში შეძენილ ელექტროტაბლოს. განათების ანძებზე კი დამაგრდება თანამედროვე ტიპის პროჟექტორები, რომელთა სიმძლავრე 1200 ლუქსს გადააჭარბებს. ასე რომ, ყველაფერი ევროპული სტანდარტებით მოეწყობა.

გავითვალისწინეთ ზაფხულობით თბილისში წყლის პრობლემა და მოედნის მოსარწყავად 150 მეტრის სიღრმის არტეზიული ჭაც გავაკეთეთ.

**– სტადიონის რეკონსტრუქციის სამუშაოებს ვინ ასრულებს?**

– რკინიგზის დეპარტამენტის №1 სამშენებლო სამმართველო, რომლის უფროსი გახლავთ გოგი ხაზარაძე. იგი წლების განმავლობაში თამაშობდა „ლოკომოტივის“ რიგებში, ამიტომაც ბატონი გოგი, მგონი, ზედმეტადაც ზრუნავს სტადიონის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მოსაწყობად. თუმცა, ყველაზე მეტ ქებას მაინც ბატონი აკაკი ჩხაიძე იმსახურებს – დღევანდელ რთულ პირობებში ამგვარი გრანდიოზული მშენებლობის წამოწყება, ვფიქრობ, ნამდვილად ეროვნული საქმეა.

**– განახლებული ვაკის სტადიონი როდის მიიწვევს პირველ მაყურებლებს?**

– უკვე გითხარით, რომ რეკონსტრუქცია წლეულს 3 ივნისს დავიწყეთ. მშენებლობის ხელმძღვანელებიც, სპეციალისტებიც და მუშებიც ალალად შრომობენ. მათ კარგად იციან, რომ საშვილიშვილოდ ირჯებიან. ეს კი გვაიმედებს, ყველაფერი მაღალ დონეზე შესრულდება და სტადიონი გაისად, გაზაფხულისთვის მზად იქნება. ჩვენი „ლოკომოტივი“ მე-11 ეროვნულ ჩემპიონატშიც თუ საპრიზო ადგილს დაიკავებს, მომავალი ევროტურნირების პირველ მატჩს განახლებულ სტადიონზე გამართავს.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**



სურათებზე: (ზემოთ) მარცხნიდან – სტადიონის დირექტორი გივი ჭანტურიძე, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის №1 სამშენებლო-სამმართველოს უფროსი გოგი ხაზარაძე, გეოდეზისტი ანზორ სუჯაშვილი და რკინიგზის დეპარტამენტთან არსებული თბილისის სპორტნაგებობათა გაერთიანების დირექტორი ყარამან შუბლაძე დღის სამუშაო გეგმის განხილვისას. სადრენაჟო ქსელი ეს-ეს არის ღორღით დაიფარა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ჭადრაკი

# ხალიფმანი – აკოფიანი 1,5:1,5

ლას ვეგასის მატჩის მესამე პარტია, მეორისაგან განსხვავებით, მეტად დიდხანს გაგრძელდა. აკოფიანი თეთრებით თამაშობდა და 84-ე სვლაზე გაიმარჯვა.

ამრიგად, ამ მატჩში ანგარიში გათანაბრდა: 1,5:1,5. საინტერესოა, რომ 1986 წლიდან მოყოლებული, ეს იყო ამ დიდოსტატების მეთერთმეტე შეხვედრა. ლას ვეგასამდე ხალიფმანმა მოიგო ორი პარტია, ექვსი კი ყაიმით დასრულდა. ისე რომ, აკოფიანმა, რომელსაც ხან „პატარა პეტროსიანს“ უწოდებენ და ხან ენდშპილში თამაშის დიდი ოსტატობის გამო აკიბა რუბინშტეინს ადარებენ, პირველად მოახერხა მეტოქის დამარცხება.

# 64 უჯრასთან – აქტიური დასვენებით

ქობულეთში დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „რემკა-99“. შეჯიბრებაში საქართველოს, გერმანიის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ.

„ა“ ტურნირში, რომელიც შვეიცარული სისტემით 9 ტურად გაიმართა, 7 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისელმა საერთაშორისო ოსტატმა ალექსანდრე ყამშეილმა. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ და, შესაბამისად, მეორე-მეოთხე ადგილები (კოეფიციენტის მიხედვით) გაიყვეს საერთაშორისო ოსტატებმა გიორგი ბახტაძემ, მიხეილ მჭედლიშვილმა და 15 წლის თბილისელმა სოფიო გვეტაძემ. საგულისხმოა, რომ სოფიკომ პირველობა არავის დაუთმო ქალთა შორის. 6 ქულით მეორე იყო საერთაშორისო ოსტატი ინგა ხურცილავა, 5 ქულით მესამე ადგილი წილად ხვდა ეროვნულ ოსტატ სოფიო ტერელაძეს.

პარალელურად მოეწყო „ბ“ ტურნირიც, რომელშიც 8-დან 16 წლამდე მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ. 9 შესაძლებლიდან 7 ქულით 13 წლის ნონა დათუაშვილმა გაიმარჯვა. ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვა წყალტუბოელმა სერგო ბერაძემ. მესამე ადგილზე სენაკელი გიორგი მურღულაია გავიდა.

ქობულეთშივე გაიმართა საერთაშორისო ტურნირი 13 მოჭადრაკის მონაწილეობით წრიული სისტემით. საერთაშორისო ოსტატის ბალის მისაღებად დაწესებული იყო ნორმატივი – 8 ქულა.

12 შესაძლებლიდან 9-9 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაინაწილეს ერევნელმა საერთაშორისო ოსტატმა რაფაელ ეგიაზაროვმა და 14 წლის ხონელმა ზვიად იზორიამ. 8 ქულით მესამე ადგილი დაიკავა თბილისელმა დავით შენგელიამ. იზორიამ და შენგელიამ საერთაშორისო ოსტატის პირველი ბალი დაიმსახურეს. ნორმატივის შესასრულებლად მცირედი დააკლდათ პარმენ გელაშვილს და ნიკა შავთვალაძეს (მეოთხე-მეშვიდე ადგილები).

ტურნირების ორგანიზატორებმა – ქობულეთის გამგეობამ და ჭადრაკის მესვეურებმა, რომლებმაც შეჯიბრების მონაწილეებს ნორმალური პირობები შეუქმნეს ასპარეზობისა და აქტიური დასვენებისთვის, გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

**ლევან ცინცაძე.**

## ჩოგბურთი

# 30 აგვისტოს, ნიუ-იორკში...

... იწყება „დიდი მუზარადის“ უკანასკნელი წლევანდელი, რიგით მეოთხე ასპარეზობა – აშშ ღია ჩემპიონატი, ანუ, როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, „ფლეშინგ მიდოუ“ („აყვავებული ველი“).

წავიდა ის დრო, როცა ერთ მოთამაშეს შეეძლო წლის განმავლობაში „დიდი მუზარადის“ ოთხივე (ავსტრალიის ღია პირველობა, როლან გაროსი, უიმბლდონი, აშშ ღია პირველობა) ასპარეზობაში გამარჯვება. ეს უკანასკნელად შტეფი გრაფმა 1988 წელს შეძლო. ამ დროიდან მოყოლებული, დიდ პატივად ითვლება „დიდი მუზარადის“ თუნდაც ერთ ტურნირში გამარჯვება. ამ მხრივ ყველაზე მეტი წარმატება პიტ სამპრასს (აშშ) აქვს, რომელმაც უკვე მოიგო 12 ასეთი ასპარეზობა.

სწორედ სამპრასი ითვლება ახლა „ფლეშინგ მიდოუს“ პირველი პრიზის ძირითად პრეტენდენტად. საქმე ის არის, რომ წლის პირველ თვეებში არც ისე წარმატებით გამოსვლის შემდეგ სამპრასმა მკვეთრად გააუმჯობესა თავისი საბრძოლო მზადყოფნა. „მე ახლა ჩემი კარიერის მწვერვალზე ვარ, ბოლოსდაბოლოს გავიგე, რა არის ჩემთვის კარგი და რა – ცუდი... მე რომ მოვინდომო მსოფლიოს №1 ჩოგბურთელი კვლავ 10 წლის განმავლობაში ვიყო, ამას ნამდვილად მივაღწევ“.

სამპრასის ძირითად მეტოქეებად ახლა ითვლებიან ანდრე აგასი (აშშ), რომელმაც ორშაბათს გამოქვეყნებულ რეიტინგ-ლისტში მესამედან მეორე ადგილზე გადაინაცვლა, რუსი ევგენი კაფელნიკოვი (მეორედან მესამეზე გადავიდა) და ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი. საინტერესოა, რომ წლის განმავლობაში სამივე (მართალია სულ მცირე ხნით) მსოფლიოს №1 ჩოგბურთელად ითვლებოდა.

სწორედ სამპრასი, აგასი, კაფელნიკოვი და რაფტერი შედიან ახლა „დიდ ოთხეულში“, დანარჩენები კი იმავე „რეიტინგ-ლისტში“ მათ მკვეთრად ჩამორჩებიან. განსაკუთრებით შესამჩნევია ჩილელ ოსტატ მარსელო რიოსის, ჟურნალისტების საძულველი ჩოგბურთელის დიდი უკუსვლა.

თუ ვაჟთა შორის „დიდ ოთხეულზეა“ ლაპარაკი, ქალთა შორის თავისი ძალით მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) და ოლიმპიური ჩემპიონი ლინდსეი დევენპორტი (აშშ) გამოირჩევიან. ისინი მორიგეობით ლიდერობენ „რეიტინგ-ლისტში“, პირად შეხვედრებში ხან ერთი იმარჯვებს და ხან მეორე – მათს დავაში „ფლეშინგ-მიდოუს“ დიდი მნიშვნელობა ექნება. საინტერესოა, რომ მესამე ადგილზე კოეფიციენტების ცხრილში ჯერჯერობით ისევ შტეფი გრაფია, თუმცა მან უკვე დაანება თავი ჩოგბურთს. არის კიდევ ორი ჩოგბურთელი, რომელთაც, მიმომხილველთა აზრით, შეუძლიათ ჩაერიონ ლიდერთა დავაში. ესენია ვენუს უილიამსი, რომელიც უკანასკნელ ხანებში საკმაო წარმატებით ასპარეზობს, და რამდენიმე წლის წინათ №1 ჩოგბურთელი მონიკა სელეში (ორივე – აშშ).

ერთი სიტყვით, ინტრიგა „ფლეშინგ მიდოუს“ მიმართ დიდია და ინტერესიც – შესაბამისი.

**გივი თორელი.**

## ყოველი მხრიდან

### მძლეოსანთა ფორუმზე

ამერიკელმა ათლეტმა ქალმა მერიონ ჯონსმა სევილიაში (ესპანეთი) გამგზავრების წინ დაიქადნა, რომ სამშობლოში ჩემპიონის ოთხი ოქროს მედლით დაბრუნდებოდა.

მართალია, მან თავის ძირითად სახეობაში – 100 მეტრზე სირბილში „ოქრო“ გაინაღდა, მაგრამ მეორე სახეობაში – სიგრძეზე ხტომაში არ გაუმართლა – მეხუთე ცდაზე 6 მეტრსა და 83 სანტიმეტრზე გადახტა, რამაც მას მხოლოდ ბრინჯაოს მედალი მოუტანა. ოქროს მედალს დაეუფლა ესპანელი, წარმოშობით კუბელი ნიურკა მონტალვო – 7,06; მეორე ადგილზეა მსოფლიო ექსჩემპიონი, იტალიელი ფიონა მეი – 7.94 მეტრი.



ჩემპიონატის მესამე დღემ კიდევ ერთი ოქროს მედალი შესძინა რუსეთის ნაკრებს – მამაკაცთა ერთ-ერთ პრესტიჟულ სახეობაში – სიმაღლეზე ხტომაში ყველასათვის მოულოდნელად ჩემპიონი გახდა 25 წლის ვიაჩესლავ ვორონინი. მან სიმაღლე – 2,37 მეტრი პირველსავე ცდაზე დაძლია! ალბათ, სპორტის მოყვარულებს ახსოვთ, 1960 წელს რომში, ოლიმპიურ თამაშებზე პირველი ოქროს მედალი მძლეოსნობის ამ სახეობაში ყოფილ საბჭოთა კავშირს ქართველმა ათლეტმა რობერტ შაველაშვილმა რომ მოუტანა!

ურომსატყორცნელ ქალთა შორის გამარჯვება იზეიმა რუმინელმა მიხაელა მელინტემ – 75,20 მეტრი, 3000 მეტრზე დაბრკოლებებით სირბილში პირველი იყო კენიელი კრისტოფერ კოსკეი, მისი თანამემამულე, მძლეოსნობის „ვარსკვლავი“ უილსონ ბოიტ კიპკეტერი მხოლოდ მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. ქალთა შორის ბადრონ ტყორცნაში ოქროს მედალს დაეუფლა გერმანელი ფრანკა დეტჩი.

შეჯიბრებათა მესამე დღის მიხედვით მედლების ყველაზე დიდი ნადავლი აქვს აშშ ნაკრებს – 4 ოქრო, 1 ვერცხლი, 1 ბრინჯაო.

**სურათზე:** რუსეთელი ვიაჩესლავ ვორონინის ოქროს ნახტომი – 2,37.

### კანადელთა დიდი ნადავლი

მედლების მთელი გროვა წაიღეს კანადელმა სპორტსმენებმა იუნიორთა XII მსოფლიო ჩემპიონატიდან წყალში ხტომაში. მათ 12 სახეობიდან 4 ოქროს, 3 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. საერთოდ, ჩემპიონატში სპორტსმენთა რეკორდული რაოდენობა მონაწილეობდა – 168 სპორტსმენი 30 ქვეყნიდან. 14 წლის ალექს დესპარტიე და 16 წლის გოგონა ბლაიტ ჰარტლი ორგზის ჩემპიონები გახდნენ. სხვათა შორის, ისიც შეიძლება ითქვას, რომ კანადელები წარმატებით გამოდიოდნენ მოზრდილთა შეჯიბრებებშიც. 14 წლის ტანია კანიგომ კი, რომელიც ჩემპიონატში პირველად მონაწილეობდა, ერთი ოქროსა და ორი ვერცხლის მედალი მოიხვეჭა.

### შუმახერის დაბრუნება გადაიდო

ამ დღეებში ვწერდით, რომ „ფორმულა-1“ სახელგანთქმული პილოტი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი, 11 ივლისს დიდი ბრიტანეთის გრან-პრის გათამაშების დროს მიღებული მარჯვენა ფეხის ორმაგი მოტეხილობის შემდეგ, წერთნას შეუდგა. სპორტის ამ სახეობის გულშემატკივარნი მოელოდნენ, რომ მომავალ კვირას შუმახერი მონაწილეობას მიიღებდა მსოფლიო 50-ე ჩემპიონატის მე-12 ეტაპში, ბელგიაში.

მაგრამ, როგორც „ფერარის“ გუნდის შტაბ-ბინიდან გახდა ცნობილი, ორდღიანი ვარჯიშის შემდეგ სამედიცინო კონსილიუმმა გადაწყვიტა, რომ პილოტის ტრასაზე დაბრუნება სულ ცოტა ორი კვირით მაინც უნდა გადაიდოს.

სპორტის რედაქცია.

საქართველოს რესპუბლიკა
№229. ხუთშაბათი, 26 აგვისტო, 1999 წელი.

ვულოცავთ

## აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატები

აჭარის საბავშვო ფონდის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ობოლი, მშობლიურ მზრუნველობას მოკლებული და ავადმყოფი ბავშვების დასახმარებლად გაწეული დიდად ნაყოფიერი საქმიანობისათვის,

**აკაკი წერეთლის სახელობის პრემია მიენიჭათ:**

**მაგული გოგიტიძეს** – საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" აჭარის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, **ნათელა დუმბაძეს** – ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტს, **ლიანა სარიშვილს** – ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორს, აჭარის საბავშვო ფონდის წარმომადგენელს ბათუმში, **სონიკო ძნელაძეს** – ბათუმის № 2 საავადმყოფოს მთავარ ექიმს, **თემურ აბუსელიძეს** – აჭარის საბავშვო ფონდის ვიცე-პრეზიდენტს, **ვახტანგ ახვლედიანს** – ცნობილ მწერალსა და ჟურნალისტს, გაზეთ „ადჟარიას" მთავარ რედაქტორს, **აკაკი ბერიძეს** – აჭარის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს, **ნოდარ თამაზაშვილს** – აჭარის კავშირგაბმულობის მინისტრს.

ძვირფას მეგობრებს – აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატებს სულითა და გულით ვუსურვებთ ახალ წარმატებებს თავიანთ კეთილშობილურ მოღვაწეობაში.

ასევე გულითადად მივესალმებით ძვირფას მეგობარს, აჭარის საბავშვო ფონდის პრეზიდენტს რენა სარიშვილს, რომელსაც უფრო ადრე მიენიჭა აკაკი წერეთლის სახელობის პრემია და საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გადაეცა მაღალი ჯილდო – ღირსების ორდენი.

საქართველოს საბავშვო ფონდის გამგეობის პრეზიდიუმი.

---

**საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი**

აცხადებს მსმენელთა განცხადებების მიღებას მოსამართლის პრეტენდენტთა კურსებზე ა. წ. 25 აგვისტოდან. მეცადინეობები დაიწყება 6 სექტემბერს. სწავლა ფასიანია.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ იუსტიციის სასწავლო ცენტრს. მის: რუსთაველის გამზ. 30. ტელ: 99-91-51, 93-58-02.

---

## საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო

აცხადებს კონკურსს (ტენდერს) იაპონიის გრანტით მოწოდებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განვადებით ნასყიდობის წესით რეალიზაციაზე. ფინური წარმოების მარცვლეულის ამღები კომბაინი – 2, ინგლისური წარმოების ტრაქტორები და სასოფლო სამეურნეო მანქანა-იარაღები – ერთხიდიანი ტრაქტორი – 3 ც. ორხიდიანი ტრაქტორი – 2, სათესი – 1, სამკორპუსიანი გუთანი – 2, ოთხკორპუსიანი გუთანი – 2, სასუქის გამფანტველი – 1, დისკებიანი ფარცხი – 1 ც, ლაფეტი (მისაბმელი) – 3 ც.

კონკურსში მონაწილეთა განცხადების მიღება წარმოებს ამა წლის 3 სექტემბრის 18 საათამდე.

განცხადების გარდა კონკურსის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს:

1. სასამართლოში და საგადასახადო ორგანოებში რეგისტრაციის საბუთი,
2. საგირავნო (საიპოთეკო) ან სხვა საგარანტიო საბუთები,
3. ცნობა ბანკიდან და საგადასახადო ინსპექციიდან ანგარიშისა და დავალიანების შესახებ,
4. წინადადება, რომელშიც გამოჩნდება საგარანტიო შესაძლებლობები გადახდისუნარიანობის შესახებ,
5. ცნობა მის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის შესახებ (ფერმერთათვის).

კონკურსში უპირატესობა ეძლევა იმ კომპანიებს, რომლებმაც უკვე მიიღეს გარკვეული რაოდენობის ტექნიკა, უზრუნველყვეს მათი ეფექტური გამოყენება და შეძლეს მათზე რიცხული საპარტნიორო ფონდის დავალიანების დაფარვა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში.

**თბილისი, კოსტავას ქ. №41. ოთახი 517, ტელ: 33-30-97.**

---

გამოსათხოვარი

## გია ბადრიძე



გიორგი (გია) დავითის ძე ბადრიძე დაიბადა 1928 წლის 23 ივნისს თბილისში, ცნობილი ქართველი საოპერო მომღერლის, ლირიკული ტენორის, საქართველოს სახალხო არტისტის, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგის, დავით ბადრიძის ოჯახში. იგი გახლდათ ლეგენდარულ პედიატრის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის გიორგი ბადრიძის შვილიშვილი.

1946-1951 წლებში გ. ბადრიძე სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდში მეგობრობდა თავისი თაობის არაერთ გამოჩენილ ადამიანთან. აქტიურად მონაწილეობდა ალპინიადებში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოწყობილ ექსპედიციებში, განსაკუთრებით თრუსოს ხეობაში. სწორედ იმ წლებში შექმნა მან პირველი საგაზეთო რეპორტაჟი. ამის შემდეგ გ. ბადრიძე აქტიურ ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწევა.

1951-1953 წლებში სწავლას განაგრძობს მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1953 წლიდან მუშაობდა მოსკოვის და თბილისის ცენტრალურ პრესაში.

გ. ბადრიძე ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ქართული ტელევიზიის სათავეებთან იდგა. 1954 წლიდან იგი პარალელურად საქართველოს ტელევიზიის პასუხისმგებელი რედაქტორი და გაზეთ „ზარია ვოსტოკას" საკუთარი კორესპონდენტია მოსკოვში. 1956 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო კინოკომიტეტის მთავარ რედაქტორად. 1964 წლიდან კი საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანია. გ. ბადრიძემ ნაყოფიერად იღვაწა საქართველოს კინოკომიტეტსა და კინემატოგრაფისტთა კავშირში. ორივეგან წარუშლელი კვალი დატოვა, როგორც ჭეშმარიტმა პროფესიონალმა და უზადო პიროვნებამ.

1971 წლიდან გ. ბადრიძე კინოსტუდია „ქართული ფილმის" სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის წევრია. მისი რედაქტორობით გამოვიდა ფილმები: „დათა თუთაშხია", „ცხელი ზაფხულის სამი დღე", „ქორწინება იმერულად", „ჩიორა", „ძველი ვალსი", „ბაგრატიონი", „ვალსი პეჩორაზე". გ. ბადრიძე, როგორც სცენარისტი, საკმაოდ ინტენსიურად და ნაყოფიერად მუშაობდა. მისი სცენარების მიხედვითაა გადაღებული მხატვრული და სატელევიზიო ფილმები: „გმადლობთ, რატილი", „აშუღყარიბი", „დინოზავრის კვერცხი", „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის", „ისინი", „ჩარი-რამა", „XXI საუკუნე და ...", „ვინ არის მეოთხე?", „მეარღნე", „ხაბაზები". რეჟისორები მას, როგორც მსახიობსაც, ხშირად იწვევდნენ გადასაღებ მოედანზე. გ. ბადრიძე გადაღებულია ფილმებში: „არ დაიდარდო", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", „პეტროვკა 38", „თბილისი და თბილისელები", „გმადლობთ, რატილი", „როგორ ვიცხოვრო უშენოდ", „ბრავო, ალბერ ლოლიშ"!, „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის". მან ამ ფილმებში დასამახსოვრებელი ეკრანული სახეები შექმნა.

გ. ბადრიძე დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა კინემატოგრაფისტებში და არამარტო კინემატოგრაფისტებში. ფილმზე მუშაობისას მისი აზრი ყოველთვის საგულისხმო და გასათვალისწინებელი იყო. იგი იყო მრავალი წამოწყების ინიციატორი, უშუალო, აქტიური მონაწილე, ქართული კინოს დიდი მოამაგე. გულწრფელად ახარებდა ქართული კინოს, ქართული კულტურის ყოველი წარმატება.

გ. ბადრიძეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, არჩეული იყო თბილისის საპატიო მოქალაქედ, იყო „ღირსების ორდენის" კავალერი.

სიცოცხლის ბოლო წლებშიც აქტიურად იღვწოდა. ერთდროულად მუშაობდა საქართველოს კულტურის მინისტრის მრჩეველად და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის უფროსად. მას დიდი წვლილი მიუძღვის დასავლეთის მიმართულებით ნავთობსადენის მშენებლობის პროექტის პრაქტიკულ განხორციელებაში.

იგი იყო არაერთი საინტერესო იდეის ავტორი, გულით განიცდიდა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, ხელმძღვანელობდა მაღალი მოქალაქეობრივი პრინციპებით.

წავიდა ჩვენგან ღირსეული მამულიშვილი, კეთილშობილი, ფართო დიაპაზონის მოღვაწე, კოლორიტული პიროვნება. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს საზოგადოებაში.

**ე. შევარდნაძე, ზ. ჟვანია, ვ. ლორთქიფანიძე, ვ. ასათიანი, ვ. ზოდელავა, ე. შენგელაია, რ. ამაშუკელი, ჭ. ამირეჯიბი, ე. ახვლედიანი, გ. გაბისკირია, თ. გოცაძე, ზ. გუმბერიძე, ძ. დოლიძე, რ. ესაძე, ა. ერქომაიშვილი, თ. თევზაძე, რ. თვარაძე, ბ. კვერნაძე, მ. კოკოჩაშვილი, ჟ. ლოლაშვილი, გ. ლორთქიფანიძე, მ. მახარაძე, კ. მახარაძე, მ. მურვანიძე, ა. მჭედლიშვილი, ს. ჟღენტი, ნ. რამიშვილი, თ. სანიკიძე, ა. სიხარულიძე, ფ. სულაბერიძე, თ. სუხიშვილი, ლ. ღოღობერიძე, გ. შარაშიძე, გ. შენგელაია, გ. შერაძე, გ. შხვაცაბაია, ნ. ჩერქეზიშვილი, რ. ჩხეიძე, გ. ჭანტურია, ს. ჭიაურელი, თ. წივწივაძე, გ. ჯაფარიძე.**

---

სკოლისაკენ!

## ეს ლიცეუმი მალე გაუტოლდება ევროპულ სტანდარტებს

სულ მალე საქართველოში აგრერიგად მომრავლებულ ლიცეუმებს შეემატება ერთიც – **თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიცეუმი.**

**– მაინც, რა გამოარჩევს ამ ლიცეუმს სხვებისაგან?** – ჰკითხა **„საქართველოს რესპუბლიკის"** კორესპონდენტმა ლიცეუმის ერთ-ერთ დამფუძნებელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს **რეზო შელეგიას.**

– ჩვენი ლიცეუმის მიზანია მოუმზადოს მაღალი აკადემიური დონის შევსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატს და სხვა წამყვან უმაღლეს სასწავლებლებს (მათ შორის უცხოურსაც), მოუმზადოს ისეთ დონეზე, რომ ისინი კონკურენტუნარიანები იყვნენ მისაღებ გამოცდებზე და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უნარი ჰქონდეთ უნივერსიტეტის თანამედროვე პროგრამების დაძლევისა. ერთი სიტყვით, ჩვენ ვამზადებთ მოსწავლე-ახალგაზრდობას არამარტო უნივერსიტეტში შესასვლელად, არამედ იქ სწავლა-განათლების მისაღებად.

**– ეს იმას ნიშნავს, რომ რეპეტიტორებთან ფულის ხარჯვა აღარ მოუწევთ მომავალი სტუდენტის მშობლებს?..**

– მართალი ბრძანდებით. ჯერ ერთი ჩვენთან გაცილებით (ალბათ 4-5-ჯერ) ნაკლები თანხის გადახდა მოუწევთ და, რაც მთავარია, შეიძლება გარანტიაც კი მივცეთ, რომ ახალგაზრდები მიიღებენ თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების დონის განათლებას.

**– როგორ შეიძლება მისცეთ ეს გარანტია?**

– ლიცეუმში მოვიწვევთ მაღალი რანგის პროფესორ-მასწავლებლებს. მოგეხსენებათ, დღევანდელობამ ბევრი მათგანი, შეიძლება ითქვას, უმუშევარი დატოვა და, რა თქმა უნდა, ჩვენთან სიამოვნებით ითანამშრომლებენ. სწორედ მათი მეოხებით შეიძლება მივაღწიოთ ჩვენს მთავარ მიზანს – რამდენიმე წელიწადში ევროპულ დონეზე ავიყვანოთ ლიცეუმს.

**– მაინც, რა პროფილური სწავლება იქნება ლიცეუმში?**

– ჰუმანიტარული (ყველა შესაძლო სპეციალობებით... ვთქვათ, მომავალ ჟურნალისტს – გაძლიერებული სწავლა ამ მიმართებით), ფიზიკა, მათემატიკა, ინფორმატიკა, ქიმია, ბიოლოგია, მედიცინა, ეკონომიკა... გარდა ამისა, ყველა ლიცეისტი დამატებით ისწავლის გაძლიერებულ ინგლისურს, კომპიუტერს და ა.შ. დღევანდელობამ კი წარმოშვა „მოდური" სპეციალობები – ეკონომიკური და იურიდიული, მაგრამ, რახან ჩვენ მრავალმხრივ განვითარებული ქვეყანა უნდა ავაშენოთ, აუცილებელია საბუნებისმეტყველო სპეციალობებიც წინა პლანზე წამოვწიოთ.

ამის გათვალისწინებით, ლიცეუმში შეღავათები ექნებათ ამ სპეციალობებზე შემსვლელებს.

**– ცხადია მიღება წელსვე გექნებათ...**

– ჩვენ უკვე დავიწყეთ საბუთების მიღება. ლიცეუმი იოსებიძის ქუჩაზე 161-ე სკოლაში იქნება განთავსებული.

და ბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ლიცეუმის გახსნაში, და, განსაკუთრებით, სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ როინ მეტრეველს, რომლის უშუალო თანადგომამ და ძალისხმევამ ასეთნაირად ჩაფიქრებული ლიცეუმის დაარსება რეალობად აქცია.

**– წარმატებებს გისურვებთ.**

– გმადლობთ.

---

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) მიერ წარმოებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის შესაბამისად აცხადებს ტენდერს:

**ახმეტის რაიონში:**

ომალო-დართლოს ხიდის რეკონსტრუქციის მიკროპროექტის კომიტეტი;

(პროექტის საორიენტაციო ღირებულებაა 179 ათასი ლარი)

**ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს.**

საკონკურსო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება:

- 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის 15.00 საათამდე – ახმეტის რაიონის სოფ. დართლოში, გამგეობის შენობაში (კონსულტაციები პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩატარდება იმავე მისამართზე 16 სექტემბერს 15.00 სთ-ზე).

**კონსულტაციებზე დასწრება სავალდებულოა**

საკონკურსო დოკუმენტების მისაღებად კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს 20 ლარი.

წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საკონკურსო დოკუმენტების გატანის საბოლოო ვადიდან ერთი საათის შემდეგ, იმავე მისამართზე.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი შპს „პრესა-98"-მა ხელმისაწვდომ ფასებში ცალკე ბროშურად დასტამბა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კანონები:

**საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.**

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბროშურის შეძენა შეუძლიათ: თბილისში – წიგნის მაღაზიებსა და სს „მაცნეს" საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე, უშუალოდ გამომცემელთან (თბილისი, მ. კოსტავას 14. ტელ: 93-26-33), დედაქალაქის ფარგლებს გარეთ კი - შპს „საქპრესის" საგაზეთო ჯიხურებში.

---

ხსოვნა

## ალექსანდრე იაკობიძე



გარდაიცვალა ქართველ ვეტერანთა ღირსეული წარმომადგენელი **ალექსანდრე დავითის ძე იაკობიძე.**

ბატონი ალიომა, ასე იცნობდნენ მას, სადაც კი მუშაობდა, ყველგან გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობით, თანამშრომლებისადმი სიყვარულით და პატივისცემით.

ალიომა იაკობიძე დაიბადა 1920 წლის 20 თებერვალს, ჭიათურის რაიონის სოფელ წასრში. შრომაში ახალგაზრდობიდანვე აქტიურად ჩაება. 20 წლის ჭაბუკი საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხაში და მერჯევში ისტორიის მასწავლებლად და სკოლის დირექტორად მუშაობდა. იგი 1951 წლიდან ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულ საქმიანობას ეწეოდა. სხვადასხვა დროს იყო: ადიგენის რაიონის რაიკომის მეორე მდივანი, რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე, საჩხერის რაიონის საქსოფტექნიკის სარაიონთაშორისო განყოფილების მმართველი და რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე, ხოლო 1991 წლიდან პენსიაში გასვლამდე მუშაობდა სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის მდივნად.

ყველასათვის სამაგალითო იყო მისი შრომისუნარიანობა. მას მინიჭებული ჰქონდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, სისტემატურად აქვეყნებდა სამეცნიერო და სამეცნიერო-პუბლიცისტური ხასიათის ნაშრომებს, მათ შორის, 9 ცალკე წიგნად გამოსცა. იგი თავისი ნაშრომებით ეხმიანებოდა საქართველოში მიმდინარე გარდაქმნებს, განსაკუთრებით ცდილობდა წარმოეჩინა სამეურნეო სფეროში მოღვაწე შემოქმედებითი ადამიანები და განეზოგადებინა მათი გამოცდილება. მისი პუბლიცისტური ნაშრომები და რადიო-სატელევიზიო გამოსვლები საფუძველს უმაგრებდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღმშენებლობის მრავალმხრივ პროცესს და საბაზრო დემოკრატიზმის დამკვიდრება-ჩამოყალიბებას. იგი თავის სოფელში, წასრში პირადი მაგალითით ავრცელებდა მაღალი აგროკულტურის განვითარების ჩვევებსა და გამოცდილებას. მისი პატიოსანი შრომა დაფასებული იქნა მთავრობის ჯილდოებით, ორდენითა და მედლებით.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა.

მისი კეთილი სახელი და სამშობლოს წინაშე უანგაროდ გაწეული ღვაწლი გზამკვლევი იქნება მისი მთამომავლობისათვის.

მეგობრები.

---

განცხადება

## „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის ქ. თბილისის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 39 ლარი);

2. საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის სოციალური დაცვის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 39 ლარი);

3. საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის ქვემო ქართლის ტერიტორიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 38 ლარი);

4. საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 39 ლარი).

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის 21-დან 65 წლამდე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- **საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის ქ. თბილისის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება (სასურველია იურიდიული);
– ვეტერანთა საქმეებთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების ცოდნა;
– კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება;
– სასურველია უცხო ენის (ინგლისური, რუსული) ცოდნა.

- **საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის სოციალური დაცვის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება (სასურველია იურიდიული);
– სოციალური დაცვის სფეროში მუშაობის გამოცდილება;
– კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება;
– სასურველია უცხო ენის (ინგლისური, რუსული) ცოდნა.

- **საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის ქვემო ქართლის ტერიტორიული განყოფილების უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი საფინანსო ან ეკონომიკური განათლება;
– საბუღალტრო საქმიანობის გამოცდილება;
– სასურველია კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება;
– სასურველია უცხო ენის (ინგლისური, რუსული) ცოდნა.

- **საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი იურიდიული განათლება;
– ვეტერანთა საქმეებთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების ცოდნა;
– კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება;
– სასურველია უცხო ენის (ინგლისური, რუსული) ცოდნა.

კონკურსს ატარებს საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსის მონაწილენი გაივლიან ატესტაციას.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის კადრების განყოფილებაში უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია წერილობით განცხადებასთან ერთად;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის შემდეგ საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტში.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე:

თბილისი, 380019, დ. ბაქრაძის ქ. №6, მე-5 სართული, საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი.

ტელ: 33-13-40 35-07-01

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო.

---

მადლობას ვუხდით ყველას, ვინც გაიზიარა ჩვენი მწუხარება შვილის გარდაცვალების გამო.

**ირაკლი ბიბილაშვილის ოჯახი.**

---

მეუღლე ქუქუნა მღვდელაძე, შვილი ლევანი, შვილიშვილები ლიკა, ლუკა, და გუგული, ძმები ამირანი, მერაბი, ძმისწულები ნიკო, დათო კახეთელიძეები, დისწულები ავთო, ტარიელ კანთელაძეები, რძლები ნინო ბაზლიძე, ლეილა მაისაშვილი, ხათუნა ლაბაძე, მძახლები ლია, ვალერიან ბაზლიძეები, ცოლისდები რუზანა, თამრიკო მღვდელაძეები, ბიძაშვილები გელა, მერაბ დონაძეები, კახა, დოდო კახეთელიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანზორ ნიკოლოზის ძე კახეთელიძე

პანაშვიდი 27, 28 VIII, 5 სთ., დაკრძალვა 29 VIII, 3 სთ.,

---

ძმა ალექსანდრე, ძმისწული აკა ოჯახით იუწყება საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის, პერსონალური პენსიონერის

ვალენტინა აკაკის ასულ ზვახარიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27 VIII, 7 სთ., გამოსვენება 28 VIII, 3 სთ., ლეონიძის (ყოფილი კიროვის) № 18.

---

საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩუღურეთის რაიონის პროკურორის თანაშემწე

ლევან ხახიაური

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკური საბჭოს ყოფილი მდივანი, პროფკავშირული მუშაობის ღვაწლმოსილი მუშაკი

ალექსანდრე დავითის ძე იაკობიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მამუკა ნაჭყებია და პარმენ სამუშია ოჯახებით იუწყებიან

ნუგზარ (მახო) ინდიკოს ძე ნაჭყებიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26,27 VIII, გამოსვენება 29 VIII, 5 სთ. მარტვილის რაიონი, სოფელი დიდი-ჭყონი.

---

ჯიმშერ, ანზორ, არსენ, მურად ანჯაფარიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

ნუგზარ (მახო) ინდიკოს ძე ნაჭყებია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს კულტურის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ სამინისტროს საქმეთა მმართველს ვენო გადილიას გარდაეცვალა სიძე

ზაზა ფურცელაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.